ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

## აიკრძალება თუ არა ონლაინ-თამაშები





გვ.6

მინდა გავერკვე, როგორ შეიძლება ამ ტიპის ბიზნესში მკაცრი რეგულაციების აღსრულება.

სამშაბათი, 12 იანვარი, 2016 №8 (6934) ფასი: 50 თეთრი

# ახალი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“

## უმრავლესობა ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ



გვ.2





## „ღარიბაშვილი რესპუბლიკელებმა და კალაძემ ჩააჩოჩეს“



ლადო სადღობელაშვილი: „სუს-ის უფროსის მოადგილე ნაციონალებზე მუშაობს“



გვ.4



გვ.5

## კონსტანტინე გამსახურდია: „გამოსავალი ორპალატიანი პარლამენტია“





## ალეკო ელისაშვილი პოლიტპატიმრებმა პარლამენტში დაიბარეს

ელისაშვილი: „ეკა ბესელიასთან დაბარებულზე მისვლას არ ვაპირებ“





გვ.3



გვ.5

## მამუკა გიორგაძე: „გაზპრომთან ურთიერთობა კითხვებს აჩენს“

„ჩვენი პრობლემაა ბელადებზე აწყობილი საბჭოთა სისტემა“

## „კალაძეს გაზპრომთან მოლაპარაკება ივანიშვილმა შთააგონა“



გვ.6

კალაძე: „რა ტრაგედიასაც გაზპრომთან დაკავშირებით ხატავენ, მარაზმია“

## სუს-ის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე სამი პირი დააკავა

გვ.5

ISSN 1987-9385

# ახალი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“

## უმრავლესობა ირაკლი კობახიძის წინაალმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

საარჩევნო სიის შედგენას რომ „ქართულ ოცნებაში“ დიდი დაპირისპირება მოჰყვებოდა, ამას ყველა ელოდა. ოღონდ თუ ასე ადრიანად დაიწყებოდა ბრძოლა, არავის ეგონა.

სიების შედგენის მიმართულებით გუშინ 2 ფრონტი გაიხსნა. ერთი დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა გახსნა, ხოლო მეორე – პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ. მეჭიაურმა რესპუბლიკელებს შეუტია, აღმასრულებელი მდივანი კი სპორტსმენებს და არტისტებს დაერია.

საგაზეთო ინტერვიუში ირაკლი კობახიძე ქოცმადიდებლებს დაჰპირდა, რომ „ოცნების“ სიაში სპორტსმენები და მსახიობები ვეღარ მოხვდებიან. ვერაფერს იტყვი, საინტერესო განცხადებაა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინ ამავე პერსონამ გარდაბნის გამგებლის პოსტზე გოჩა ჯამარაულის კანდიდატურა წარადგინა.





ეს კაცი არც ისე შორეულ წარსულში ფეხბურთს თამაშობდა, ეტყობა, ეს ამბავი კობახიძემ არ იცის, ანდა ფეხბურთი ბირთვულ ფიზიკასთან გათანაბრებული დარგი ჰგონია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის საარჩევნო სიის ფორმირებაზე არც კახა კალაძესთან ერთად უნდა მუშაობდეს. ოდესღაც ისიც ფეხბურთელი იყო და არც ტიტულები აკლდა.

კობახიძის სპორტსმენოფობიურ განცხადებას „ქართულ ოცნებაში“ დიდი ალიაქოთი მოჰყვა. აღშფოთებისგან თავი ვერც აღმასრულებელი მდივნის გარე ბიძაშვილმა, ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ შეიკავა.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, საარჩევნო სიის გადახალისება ნამდვილად მოხდება, მაგრამ პროფესიის მიხედვით ადამიანის სიიდან გამიჯვნა სწორი არ არის.

– საარჩევნო სიაში ის ადამიანები იქნებიან, რომლებიც საპარლამენტო მუშაობაში, კანონშემოქმედებით საქმიანობაში ძალიან აქტიურად ჩაერთვებიან. რა თქმა უნდა, ახალი სახეებიც საჭიროა. ნამდვილად მოხდება სიის გადახალისება, მაგრამ პირდაპირ გამიჯვნა, თუ რომელი პროფესიის ადამიანები უნდა იყვნენ, მთლად სწორი მიდგომა არ არის.

ბუნებრივია, ბევრი ეკონომისტი, ბევრი ფინანსისტი, ბევრი იურისტი, კანონწარმოებაში ჩართული ადამიანი იქნება სახარბიელო, მისაღები და კარგი, მაგრამ ნუ გავავლებთ ზღვარს – ვინ უნდა იყოს და ვინ არა, რადგან ყველა პროფესიას თანაბრად ვცემ პატივს. ვფიქრობ, რომ ყველა პროფესიის ადამიანს აქვს უფლება, საკანონმდებლო ორგანოში იყოს ხალხის წარმომადგენელი, – განუცხადა ჟურნალისტებს მანანა კობახიძემ.

მას მხარი საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავკაცმა გია ვოლსკიმაც აუბა. ის აღმასრულებელ მდივანს ურჩევს, მომავალი პარლამენტის შემადგენლობასთან დაკავშირებით ნაჩქარევ განცხადებებს ნუ გააკეთებს.

ვოლსკის განცხადებით, მსახიობებსა და სპორტსმენებზე აქცენტის გაკეთება დაპირისპირების ატმოსფეროს შექმნის.

– ირაკლისა და სხვებს ვურჩევდი, რომ ნაჩქარევ განცხადებებს ნუ გააკეთებენ. კანდიდატი პროფესიის მიხედვით კი არ ფასდება, არამედ ინტელექტუალური მონაცემების გათვალისწინებით. აქცენტის გაკეთება მსახიობებთან და სპორტსმენებთან დაკავშირებით რაღაც დაპირისპირების ატმოსფეროს შექმნის, რაც პოლიტიკურად სწორი არ არის.

აუცილებელია, პარლამენტში იყვნენ კანონშემოქმედებითი პიროვნებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს რაიმე განსხვავებას პროფესიებს შორის. ადამიანები შერჩეული უნდა იყვნენ მათი რეიტინგით, შეხედულებებითა და ინტელექტუალური მონაცემებით, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფრაქციის თავკაცმა.

კობახიძის შეხედულებანი მიუღებელი აღმოჩნდა პარლამენტის ვიცე-სპიკერ ზვიად ძიძიგურისთვისაც. მისი აზრით, არანაირი პრობლემა არ არის, თუკი პარლამენტში მსახიობები იქნებიან. ამის დასამტკიცებლად მას რონალდ რეიგანის ისტორია მოჰყავს.

– მსახიობი იყო რონალდ რეიგანი, მაგრამ არ მგონია, ვინმეს ახსოვდეს ამერიკის უფრო კარგი პრეზიდენტი. მსახიობობა და სპორტსმენობა არავის მხრიდან დასაწუნი პროფესია არ არის, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ძიძიგურმა.

თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს კობახიძის მიერ შერისხულმა მსახიობებმა და სპორტსმენებმაც. ისინი აღმასრულებელი მდივნის პოზიციით განაწყენებული არიან.

უმრავლესობის წევრის, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობის, პაატა ბარათაშვილის განცხადებით, ხალხმა უნდა აირჩიოს, ვინ უნდა მოხვდეს პარლამენტში.

როგორც ბარათაშვილმა ინტერპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, ადამიანების პროფესიების მიხედვით დაყოფა არასწორია.

უფრო რადიკალურია თავის შეფასებაში კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი შოთა ხაბარელი. დეპუტატობამდე ოლიმპიური ჩემპიონი კობახიძეს რაღაცების დაკონკრეტებას სთხოვს.

მისი განცხადებით, სპორტსმენობა და მსახიობობა დანაშაული არ არის. ხაბარელის განმარტებით, ისინი პარლამენტში მრავლად სულაც არ არიან წარმოდგენილი.

– პარლამენტში სულ 150 დეპუტატია. მსახიობები და სპორტსმენები ერთად აღებული სულ 10 კაცი ვართ, მაგრამ იმდენად ცნობადები ვართ, რომ ვიღაცებს 10 კაცი 150 ჰგონია, – შესჩივლა ჟურნალისტებს ხაბარელმა.

ხაბარელი მხოლოდ მიესალმება იმას, თუ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია გადახალისდება. ის არც იმაში ხედავს ტრაგედიას, თუ იქ სპორტსმენებს და მსახიობებს არ შეიყვანენ. მისთვის მიუღებელი ისაა, რომ ადამიანების დახარისხება ხდება.

* * *

ამ თემაზე საუბარი ამ დღეებში ძალიან აქტუალური იქნება.

საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი ირაკლი კობახიძის განცხადებით უკმაყოფილოა. ამასთან, ყველას აინტერესებს, შეთანხმებული ჰქონდა თუ არა მას ეს განცხადება კახა კალაძესთან, რომელიც წარსულში სპორტსმენი იყო და, ამის მიუხედავად, ვიცე-პრემიერის და ენერგეტიკის მინისტრის პოსტი უკავია. შეთავსებით კი პარტიის გენერალურ მდივნადაც მუშაობს.

საარჩევნო სიის ფორმირებასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში საპარლამენტო უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილს შეხვდება. როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, ამ შეხვედრამდე ივანიშვილთან აუდიენციას დეპუტატის მანდატიანი სპორტსმენები შეეცდებიან. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანებს „ქართული ოცნების“ მამასთან კარგი ურთიერთობა აქვთ და ივანიშვილი მათ აზრსაც ითვალისწინებს.

ალბათ ყველას გახსოვთ, გასულ წელს სპორტის კომიტეტის წევრები მინისტრ ლევან

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# კვირიკაშვილმა ნარმანია გააფრთხილა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ 11 იანვარს სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე თბილისში მიმდინარე პროექტების დაჩქარებისა და მათი ეფექტურად განხორციელების გზებზე ისაუბრეს.

პრემიერმა თბილისის მერის სამომავლო გეგმები მოისმინა და პროექტების განხორციელების დაჩქარებასა და მათი ეფექტურობის გაზრდაში დედაქალაქის მთავრობის მხარდაჭერის მზადყოფნა გამოთქვა.

შეხვედრაზე რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი გამოიკვეთა, მათ შორის, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების შემცირება, ქალაქის საცობებისგან განტვირთვა, მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება, მრავალდონიანი პარკინგების მშენებლობა, ახალი საბავშვო ბაღების აშენება და ინფრასტრუქტურული და ტურისტული პროექტების მოკლე ვადებში განხორციელება.



გადაწყდა, რომ ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დედაქალაქის მერია აქტიურად იმუშავებს მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის განახლებაზე, ხოლო არსებული პარკი, საწყის ეტაპზე, იმ რაიონებს მოხმარდება, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტის ნაკლებობაა.

უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს ახალი ავტობაზის აშენების პროექტის განხორციელებაც.

ასევე, დაიწყება თბილისის შემოგარენში ტყის რეაბილიტაციის პროგრამა;

პრემიერმა და თბილისის მერმა ასევე ისაუბრეს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა შორისაა აღმაშენებლის გამზირის მეორე ნაწილის რეაბილიტაცია, პუშკინის ქუჩაზე ესტაკადისა და კრწანისი-შინდისის ახალი გზის მშენებლობა, გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია და სხვა.

გიორგი კვირიკაშვილმა დავით ნარმანიას სთხოვა, გამკაცრდეს ყველა მნიშვნელოვანი პროექტის მიმდინარეობის ტემპებისა და ეფექტიანობის კონტროლი, რათა სამუშაოები მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს.

**ნიუსპრესი**

# 60 მილიონს გაძლევ და კიდევ მე გეხვეწო მეგობრობაზე?

## ჭყონია ხადურს მიმართავს



„60 მილიონს გაძლევ და კიდევ მე გეხვეწო მეგობრობაზე? – ამ კითხვით საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს ბიზნესმენი თემურ ჭყონია მიმართავს. „ბიზნეს კონტაქტთან“ საუბრისას ჭყონია ხადურის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც ფინანსთა მინისტრი ამბობს: „ფინანსთა სამინისტრო დარჩება და გახდება უფრო მეტად მეგობრული ბიზნესისადმი, მაგრამ აქვე დავაზუსტებ – ბიზნესისადმი და არა ბიზნესმენებისადმი“.

თემურ ჭყონია ხელისუფლებას მოუწოდებს, შუა წელიწადში ნურაფერს ნუ გააძვირებენ, რადგან მისი თქმით, ბიზნესმენებს ბიუჯეტი უკვე შედგენილი აქვთ. ბიზნესმენი „ბიზნეს კონტაქტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ შუა წელში გაზრდილი გადასახადი კომპანიებს ფინანსურ პრობლემებს უქმნის.

**თემურ ჭყონია:**

– 60 მილიონს გაძლევ და კიდევ მე გეხვეწო მეგობრობაზე? ეს ჩემთვის საინტერესო არც არის. მე გაძლევ ამხელა თანხას და კიდევ მე გეხვეწო, ჩემი მეგობარი იყავიო, არ მჭირდება ეს მეგობრობა. რაში მჭირდება? აქედან გამომდინარე, ბიზნესმენებსაც არ სჭირდებათ. ბიზნესმენებისთვის მთავარია სტაბილურობა. შუა წელიწადში ნურაფერს ნუ გააძვირებთ, იმიტომ, რომ ჩვენ, ბიზნესმენებს, ბიუჯეტი უკვე შედგენილი გვაქვს. როგორც სახელმწიფო ადგენს ბიუჯეტს და კონტროლის ქვეშ არის საზოგადოების მხრიდან, რომ იგი შესრულდეს, ასევე ჩვენც ვადგენთ ბიუჯეტს და ამ ბიუჯეტის თითოეული ციფრი კონტროლზე გვაქვს.



ეს არის ბიზნესის სწორი მართვა. შუა წელიწადში, რომ გაახსენდებათ, რაღაც უნდა გააძვირონ, ეს ჩვენი ბიუჯეტის დარღვევაა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩვეულებრივი ფინანსური ჯგუფია, რომელიც უნდა სწავლობდეს და სულ 1000 ადამიანს უნდა დაელაპარაკოს, საქართველოში კომპანიების ხელმძღვანელებს, რომ სწორი ბიუჯეტის სწორი დასკვნა მიიღონ. ეს კი საქართველოში ასე არ ხდება. კომუნისტური შეხვედრები და ალიაქოთი რომ არის, პირველი, ამ შეხვედრებზე კითხულობენ, რა გიჭირთ ბიზნესმენებს, ვითომ რამის გამკეთებლები არიან.

**პირველი რადიო**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო ელისაშვილი პოლიტპატიმრებმა პარლამენტში დაიბარეს

## ელისაშვილი: „ეკა ბესელიასთან დაბარებულზე მისვლას არ ვაპირებ“

ნონა ცაბაძე

პოლიტპატიმრების ირგვლივ აგორებული სკანდალი აქტუალურობას არ კარგავს და კვლავაც გრძელდება. პოლიტპატიმრები კითხვებზე პასუხს ალეკო ელისაშვილისგან მოითხოვენ და მას 15 იანვარს პარლამენტში მისვლას სთხოვენ. უფლებადამცველ **ნანა კაკაბაძის** ორგანიზებით პოლიტპატიმრები თბილისის საკრებულოსთან შეიკრიბნენ, ალეკო ელისაშვილს ოფიციალური წერილი გადასცეს და პარლამენტში მისვლა სთხოვეს.





***— ქალბატონო ნანა, პოლიტპატიმრები ალეკო ელისაშვილთან შეხვედრას მოითხოვენ. ამ საკითხს კი ორგანიზებას თქვენ უკეთებთ. უფრო დეტალურად, რა ხდება ამასთან დაკავშირებით?***

— იცის საზოგადოებამ, რომ ალეკო ელისაშვილმა შეწყალების კომისიაზე დაიწყო საუბარი, რომ თურმე შეწყალების კომისიაზე ხდებოდა ზეწოლა, პირადად მასზე ხდებოდა ზეწოლა და ელისაშვილს გაუჩნდა ეჭვი, რომ ამის უკან იდგა კორუფცია. მან ასევე განაცხადა, რომ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებითაც არსებობდა კითხვები. ხოლო ეს კითხვები, რომლებიც ელისაშვილს გაუჩნდა, იყო გონივრულ ეჭვებზე დაფუძნებული.

***— მისი მხრიდან მოხდა ამ ეჭვების დასაბუთება?***

— დღემდე ვერ დაასაბუთა მან ეს ეჭვები. ვერც მედიასაშუალებებში გავიგეთ, რა იყო მისი ეს გონივრული ეჭვის საფუძველი, ვერც პროკურატურიდან გამოსულმა თქვა რაიმე კონკრეტული. აქედან გამომდინარე, პოლიტპატიმრები თვლიან, რომ ელისაშვილი არის დაკვეთილი კამპანიის ერთ-ერთი მონაწილე. ამ ხალხს გაუჩნდა სურვილი, რომ ელისაშვილისთვის დაესვა კითხვები.

***— ეს ვერ მოხერხდა?***

— პოლიტპატიმრებმა პრაიმტაიმის კლუბში ჩაატარეს პრესკონფერენცია და სთხოვეს ელისაშვილს, დასწრებოდა, თუმცა ის არ მოვიდა. ამის შემდეგ ელისაშვილი აცხადებდა, რომ ენდობოდა გამოძიებას და პროკურატურის იმედი ჰქონდა. მერე მოულოდნელად განაცხადა, რომ აღარც პროკურატურას ენდობა და ენდობა პარლამენტს. სწორედ პარლამენტში გვყავს მიწვეული ელისაშვილი 15 იანვარს პირველ საათზე.

***— როგორია მისი პოზიცია? მოვა?***

— ის თავად ითხოვს პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას და ჩვენ მას ამიტომაც ვიწვევთ იქ. მოვიდეს და ილაპარაკოს იმ ეჭვების საფუძველზე, რაც მას გაუჩნდა პოლიტპატიმრების სიებთან დაკავშირებით.

***— თქვენი საკრებულოში მისვლის მიზეზი რა იყო?***

— ჩვენ კამერების თვალწინ წერილი ჩავაბარეთ კანცელარიას, რათა მან ველარ თქვას, რომ არ იცოდა. მობრძანდეს პარლამენტში, ან დაასაბუთოს ის, რა ეჭვებიც გააჩნია. მისი არ მოსვლის შემთხვევაში დასაბუთდება ის, რომ ის არის კონკრეტული კამპანიის მონაწილე და მას სწორედ ამ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა.

***— ანუ, პარლამენტში საკითხის ღიად განხილვა იგეგმება?***

— დიახ. ასევე პოლიტპატიმრებს ხელისუფლების მიმართაც აქვს კითხვები, რატომ არ მოხდა რეჟიმის შეფასება და რატომ არ მოხდა პოლიტპატიმრების საქმეების გადახედვა. რატომ მიეცათ დღეს ელისაშვილებს და მისნაირებს საშუალება, რომ მანიპულირება მოეხდინათ პოლიტპატიმრების სიებით და ასეთი ტალახი შეესხათ მათთვის.

***— რა იდგა ელისაშვილის განცხადებების უკან?***

— ელისაშვილის განცხადების უკან იდგა ზუსტად ის, რაც იდგა ნაციონალების განცხადებების უკან, როდესაც ისინი ტალახს ასხამდნენ პოლიტპატიმრების სიებს. ეს იყო მიმართული სწორედ პროცესის დისკრედიტაციისკენ და არა იმისთვის, რომ ვიღაც ეძებდა კორუფციის წყაროს.

***— ამ შემთხვევაში რა უნდა გაეკეთებინა ელისაშვილს?***

— ელისაშვილი არ დაინტერესებულა არც ერთი პოლიტპატიმრის საქმით. არ გამოუთხოვია არც ერთი პოლიტპატიმრის საქმე, არც პარლამენტიდან და არც სხვა ორგანოებიდან. ოჯახის წევრებსაც კი არ დაკავშირებია ელისაშვილი, ან მათ ადვოკატებს, რომ გაეგო, რეალურად რა ხდებოდა.

***— ეს რაზე მიანიშნებს?***

— როდესაც შენ არ გაინტერესებს, რა ხდება, არ ინტერესდები რეალური საქმით და პირდაპირ აკეთებ განცხადებას, ე.ი. შენც ხარ იმ პროცესის მონაწილე, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა აქამდე ეწეოდა.

***— მათ თამაშს თამაშობს?***

— რასაკვირველია. მას მტკიცებულებები არ აინტერესებს, ხან ენდობა პროკურატურას, ხან არა, ეს მისი მხრიდან არასერიოზულობის გამოვლინებაა. ჩვენ არ გვაინტერესებს, ელისაშვილი ვის ენდობა, ჩვენ გვაინტერესებს, ის პარლამენტში მოვიდეს და გაგვცეს პასუხები კონკრეტულ კითხვებზე. ასევე დასვას კონკრეტული კითხვები და ჩვენგანაც კონკრეტულ პასუხებს მიიღებს.

***— როგორი იქნება ამ საქმის გაგრძელება?***

— ჩვენ ბოლომდე მივყვებით ამ საქმეს. ყველა იმ პოლიტპატიმარს, რომელიც თვლის, რომ მისი ღირსება შეილახა, ჩვენ ბოლომდე დავიცავთ.

***— მოვა ელისაშვილი პარლამენტში?***

— იქ თუ არ მოვა, პრეზიდენტთან დავიბარებთ. სადღაც ხომ მაინც მოვა. ყოველ შემთხვევაში, ის პასუხების გაცემას ვერ გაექცევა. არ გასცემს და მისთვის უარესი. მაშინ პირდაპირ ექნება ის იარლიყი, რომ ის არის ბინძური კამპანიის ერთ-ერთი მონაწილე.

* * *

აპირებს თუ არა ალეკო ელისაშვილი პარლამენტში მისვლას? ამ და სხვა საკითხებზე მას „ახალი თაობა“ ესაუბრა.

***— ალეკო, ალბათ უკვე გეცოდინებათ, რომ პოლიტპატიმრები 15 იანვარს პარლამენტში მისვლას გთხოვენ. აპირებთ მისვლას?***

— არა, ნამდვილად არ ვაპირებ!

***— რატომ?***

— მე პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ერთი განცხადება უკვე გავაკეთე და მორჩა და გათავდა! დღეს ჩემი მთავარი საქმე არის და ამ საქმეს ბოლომდე მივყვები, რომ დავადასტურო ბესელია-კობახიძის კორუფციული სქემები. ხოლო პოლიტპატიმართა ეს ჯგუფი რატომ აქტიურობს, ეს ჩემთვის ძალიან უცნაურია.

***— რა არის ამაში უცნაური?***

— აშკარად მათ უნდათ, რომ ჩემი ყურადღება გადაიტანონ ძირითადი საკითხიდან. ეკა ბესელიას კომიტეტში მიბარებენ და... ძალიან უცნაურად ჟღერს თავისთავად ეს ამბავი. მე პარლამენტში მაქვს ჩემი საქმე.

***— რომელი საქმე?***

— მე ველოდები პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას. ამდენად, პოლიტპატიმრებს ვურჩევ, რომ თავის საქმეს მიხედონ.

***— კითხვები გვაქვს მასთან და ამიტომ უნდა მოვიდეს პარლამენტში და ამ კითხვებზე პასუხი გაგვცესო, აცხადებენ პოლიტპატიმრები და მაშინ ეს როგორ მოხერხდება?***

— მე, ისევე, როგორც ძალიან ბევრ ადამიანს, გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამ სიებში მოხვდა ბევრი კრიმინალი და დამნაშავე და ეს ადამიანები თავის თავზე რატომ იღებენ ამ განცხადებებს, მე ეს მაინტერესებს. გამოძიება მიდის ამასთან დაკავშირებით პროკურატურაში და პროკურატურას მიმართონ, თუ ძალიან აინტერესებთ. მე არაფერ შუაში ვარ.

***— როგორ არ ხართ, სწორედ თქვენ არ გააკეთეთ ამაზე ხმამაღალი განცხადებები?***

— მე ვთქვი, რომ გონივრული ეჭვი მაქვს-თქო და ახლა ყურადღების გადატანა უნდათ და მხოლოდ მე მერჩიან, როცა ათასი ადამიანი და არასამთავრობო ორგანიზაცია იძახის, რომ იქ რაღაცები უცნაურად იყოო. ღარიბაშვილი ამბობდა ამას და ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, რომ უცნაურობები ხდება პოლიტპატიმართა სიებთან დაკავშირებითო. რატომ იმათ არ იბარებენ და არ ეკითხებიან?!

ამ შემთხვევაში მე შემეშვან! მე ჩემი საქმე მაქვს და მას უნდა გავყვე. ნუ მიტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ ყურადღება გადააქვთ და ვიღაცის დავალებებს ასრულებენ. ასე რომ, ეკა ბესელიასთან დაბარებულზე მისვლას ნამდვილად არ ვაპირებ!

***— გამოძიება მიმდინარეობს პროკურატურაში და მას რამდენად ენდობით?***

— გამოძიებას არ ვენდობი!

***— მაშინ რა გზა რჩება, რა ზომებს უნდა მიმართოთ?***

— ველოდები საგამოძიებო კომისიის შექმნას პარლამენტში!

***— ამაზე რა პასუხი გაგცეს?***

— არ გამცეს. ჯერ არ დაწყებულა საგაზაფხულო სესია და ველოდები პირველივე სხდომას პარლამენტში.

# გუგული მაღრაძე: „ჩვენმა პარლამენტმა 65 ქვეყანას შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა“



— არსებობს მსოფლიო პროგრამა „პარლამენტის ღია მმართველობა“, სადაც ჩვენმა პარლამენტმა ოქტომბერში მექსიკაში გამართულ დიდ ფორუმზე 65 ქვეყანას შორის ჩემპიონის წოდება მიიღო, -– აღნიშნა დღევანდელ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გუგული მაღრაძემ.

დეპუტატის განმარტებით, პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მოახერხა და რამდენიმე თვეში პარლამენტის ღიაობის სამოქმედო გეგმა მიიღო.

**გუგული მაღრაძე:**

— თებერვალში შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, რომლის თავმჯდომარე თინა ხიდაშელი იყო, მე კი -– მოადგილე. ქალბატონი თინას პარლამენტიდან წასვლის შემდეგ თავმჯდომარე გავხდი.

ინტერფრაქციულ ჯგუფში, სადაც ყველა ფრაქციის წარმომადგენელია, რამდენიმე თვეში ძალიან მნიშვნელოვანი, პარლამენტის ღიაობის სამოქმედო გეგმის მიღება მოვახერხეთ, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბევრი რამ გვაქვს დაგეგმილი იმისთვის, რომ პარლამენტი მართლაც სახალხო წარმომადგენლობა იყოს.

მედიანიუსი

# გია ვოლსკი: „ამ ეტაპზე სამთავრობო ცვლილებებზე კონსულტაციები არ მიმდინარეობს“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გიორგი ვოლსკის ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებებზე ამ ეტაპზე არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს. შესაბამისი კომენტარი ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

— საფუძველი იმისა, რომ მინისტრები შეიცვალონ, დარგებს არ ეტყობა. დარგებში არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ მინისტრების შეცვლის აუცილებლობას ითხოვდეს. საჭიროა სტაბილურობა. მინისტრები დასახული ამოცანების მიხედვით მუშაობენ და თავად გიორგი კვირიკაშვილი გადაწყვეტს, თუკი მთავრობაში ცვლილებების აუცილებლობა დადგება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ნიუსპრესი

# ახალი სკანდალი „ქართულ ოცნებაში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ყიფიანს რომ აუმხედრდნენ. მათ რამდენჯერმე დააყენეს ყიფიანის პასუხისმგებლობის საკითხი.

ამბოხებულები პარტიის პოლიტსაბჭოზე დაიბარეს და კატეგორიულად აუკრძალეს ყიფიანის გვარის ხსენება. ისინი კი ადგნენ, ბიძინა ივანიშვილთან მივიდნენ და საქმის კურსში ჩააყენეს. ეს შეხვედრა შარშან აპრილში შედგა. ივანიშვილმა მაშინ მათი მხარე დაიჭირა. შედეგად ყიფიანი თანამდებობიდან წავიდა.

მანდატიან სპორტსმენებს ახლაც აქვთ არგუმენტები. პარლამენტში მოხვედრილი სპორტსმენების უმრავლესობა მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულია. მათ მიაჩნიათ, რომ ხალხის ნდობას იმსახურებენ.

* * *

როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, საარჩევნო სიის ფორმირების მიმართულებით სხვა ფრონტიც არის გახსნილი და ის თამაზ მეჭიაურმა გახსნა. მისი ნებისმიერი განცხადება სკანდალად აღიქმება, ეს კი მართლაც სკანდალი იყო.

პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მეგობარია, კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის ინიციატივით გამოდის.

მეჭიაურის განცხადებით, მომავალ პარლამენტში ადგილები პარტიული რეიტინგის მიხედვით უნდა გადანაწილდეს.

მისი აზრით, დაუშვებელია, იმ პარტიის წარმომადგენლობამ, რომელიც მხოლოდ საარჩევნო ბარიერს გადალახავს, პარლამენტში ადგილების უმრავლესობა მიიღოს.

— თუ მოხდება დისბალანსი, რომ ვიღაცას აქვს უფრო მეტი ამბიცია, გაცილებით მეტი, ვიდრე მისი რეალური პოლიტიკური წონაა, რომელიც აისახება კოალიციისთვის მის მიერ მოტანილი პოზიტიური შედეგის მიხედვით და ამაზე ვერ შეთანხმდებიან, ამისათვის არსებობს მარტივი გამოსავალი – დიდი ამბიციების მქონე პოლიტიკურმა ძალებმა ცალ-ცალკე იყარონ კენჭი.

დიდი ამბიციების მქონე პარტიას მინიმუმ არ უნდა უჭირდეს საარჩევნო ბარიერის გადალახვა. ასეთ პარტიებში იგულისხმება ყველა, ვისაც იმაზე მეტი ამბიცია აქვს, ვიდრე საკუთარი პოლიტიკური ძალა და წონა, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

ალბათ ყველა მიხვდა, თუ ვის გულისხმობს ამბიციურ ძალაში თამაზ მეჭიაური. რესპუბლიკური პარტიის მიმართ პრეტენზიები სხვა მეოცნებეებსაც აქვთ, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა ცოტათი უჭირთ.

უპასუხოდ არც მეჭიაურის ეს ინიციატივა დარჩება და ამაზეც იქნება წიოკი, თუმცა, როგორც ამბობენ, წინ ისეთებია მოსალოდნელი, ეს ყველაფერი შესაძლოა ჟურნალად მოგვეჩვენოს.

* * *

მართალია, ოფიციალურად არ აღიარებენ, მაგრამ პოლიტიკაში ჩერნოვეცკის გამოჩენამ მეოცნებეები სერიოზულად აღაშფოთა. როგორც სარწმუნო წყარომ „ახალ თაობას“ აცნობა, კიევის ყოფილი მერის ხალხი თავისუფალ დემოკრატებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

სავარაუდოდ, სწორედ ამას უკავშირდება ის ფაქტი, რომ მეოცნებეები ირაკლი ალასანიას ენის მოჩლექით მოიხსენიებენ. მათ აშკარად არ უნდათ, რომ თავისუფალი დემოკრატები ბედნიერი დემოკრატები გახდნენ.

ალასანიას თავი „ბედნიერ საქართველოსაც“ სჭირდება. თავდაცვის ყოფილი მინისტრი დასავლეთში მიღებული პერსონაა და საჭირო კავშირებიც გააჩნია.

„ქართულ ოცნებაში“ უკვე ღიად ალაპარაკდნენ კოალიციაში ალასანიას ხალხის შესაძლო დაბრუნებაზე. რამდენ გრადუსამდე გათბება მათ შორის ურთიერთობა, ამას მომავალი გვიჩვენებს. უკან დაბრუნების სანაცვლოდ, მთავარი თავისუფალი დემოკრატი ალბათ თავის პირობებს წამოაყენებს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ღარიბაშვილი რესპუბლიკელებმა და კალაძემ ჩააჩოჩეს“

## ლადო სადღობელაშვილი: „სუს-ის უფროსის მოადგილე ნაციონალებზე მუშაობს“

შორენა მარსაგიშვილი





ვინ ამზადებს ფონს ნაციონალების დასაბრუნებლად, ვინ უმალავს ინფორმაციებს ივანიშვილს, ვინ და რატომ ავრცელებს ხმებს ღარიბაშვილის სამომავლო გეგმებზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ თავმჯდომარე ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერობიდან ამაყად და გამარჯვებული წავიდა. ასე წასული ადამიანები, როგორც წესი, არ იკარგებიან და არც ყოფილი პრემიერი დაიკარგება. ის აუცილებლად დაბრუნდება და ეს მოხდება მაშინ, როდესაც ქვეყანას კრიტიკული მომენტი დაუდგება. ეს ხელისუფლება აუცილებლად ჩავარდება ცუდ დღეში და ღარიბაშვილის დაბრუნება აუცილებელი გახდება.

***– პრემიერად დაბრუნდება?***

– არ ვიცი. შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში იყაროს კენჭი.

***– არის ვარაუდი, რომ ის წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი პარტიით მიიღებს მონაწილეობას.***

– მსგავსი არაფერი იგეგმება. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს არის შეგნებულად გავრცელებული ტყუილი.

***– ვინ ავრცელებს ამ შეგნებულ ტყუილს?***

– ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საზოგადოებაში ყველაზე მეტი სიყვარულით და პატივისცემით ყოფილი პრემიერი სარგებლობდა. ახლა ამ ხმებს იმიტომ ავრცელებენ, რომ არ სურთ ამ ელექტორატის დაკარგვა. ამ ჭორების გავრცელებით იმის დამალვასაც ცდილობენ, თუ რატომ წავიდა ღარიბაშვილი.

***– და რატომ წავიდა?***

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მან თავის სამეგობრო და სანათესაო არ გაწირა. ამ კაცური მიდგომის გამო, ღარიბაშვილი გაწირეს. ის იმ ადამიანებმა გაწირეს, ვისაც ყველაზე მეტად სურდა მისი ჩაჩოჩება.

***– შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება?***

– რატომაც არა. ღარიბაშვილის ჩაჩოჩების სურვილი ყველა არაეროვნულად განწყობილ ძალას ჰქონდა. ამ მხრივ გამორჩეული როლი შეასრულა რესპუბლიკურმა პარტიამ. მათ მხარი აუბა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემაც. ის დღედაღამ იმაზე ოცნებობდა, როგორმე ჩაეჩოჩებინა და მოეშორებინა ღარიბაშვილი.

***– რაში უშლიდა მას ღარიბაშვილი ხელს?***

– ეტყობა, ბევრ რამეში უშლიდა ხელს. ახლა უფრო ფრთებგაშლილი იქნება. როდესაც ღარიბაშვილს პრემიერის პოსტი ეკავა, იმ დროს ყველა მინისტრი მეორე და მესამე პლანზე იყო გადასული. მთავარი ყურადღება ექსპრემიერისკენ იყო მიმართული, რაც ვიღაც-ვიღაცებს აღიზიანებდა.

მოქმედი პრემიერის პირობებში ყურადღება სხვა პერსონებზე გადავა. გიორგი კვირიკაშვილი, წინამორბედისგან განსხვავებით, მებრძოლი არ არის. ის ბუნებით უფრო რბილი ადამიანია და უკვე წავიდა რაღაც დათმობებზე.

***– რა დათმობებზე წავიდა?***

– ოპოზიციას უთხრა, დავსხდეთ, დავილაპარაკოთო. საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის ყოფილი მოადგილე, ალასანიას თანაპარტიელი დააბრუნა. კვირიკაშვილი ინიციატივებისგანაც თავს შეიკავებს. ღარიბაშვილი კი სხვანაირი იყო და ამიტომაც გაუშვეს სახლში.

ახლა ის წასულია და მისი მოწინაალმდეგეები თავისუფლად იმოქმედებენ. უფრო თამამად იმოქმედებენ ის პირებიც, რომლებიც თავიანთი ქმედებებით ნაციონალების წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ასეთი ადამიანები მაღალ თანამდებობაზე არიან.

***– ვინაობას დაასახელებთ?***

– დავასახელებ, ეს გახლავთ სუს-ის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი. მისი წყალობით ქვეყანა იმ საფრთხის წინაშე დადგა, რასაც ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნება ჰქვია. ეს ინფორმაციები ბიძინა ივანიშვილამდე არ მიდის. ამას გოგაშვილი ბლოკავს. რამდენიმე წლის წინ ის ხორცის დისტრიბუციით იყო დაკავებული და საკუთარი ხორცის მაღაზია ჰქონდა.

***– ნიჭიერი კაცი ყოფილა თუ ხორცის მაღაზიის მეპატრონეობიდან ასეთ მაღალ თანამდებობაზე მოხვდა.***

– ნიჭიერი კი არა, ინტრიგანია და ფარული ჩანაწერების გაკეთების ოსტატია. ამ ჩანაწერებით დღემდე ახორციელებს შანტაჟს. დაინიშნა თუ არა სუს-ის მოადგილედ, ეს უწყება ეგრევე გახვია შარში.

პირველი კრახი სუს-მა გასული წლის ოქტომბერში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე განიცადა. ის არჩევნები რომ ისე ულამაზოდ წარიმართა, სულ გოგაშვილის დამსახურებაა. არჩევნების დღეს, გამთენიისას დაიჭირეს ყრილობის ერთ-ერთი დელეგატი, რამაც არჩევნების შედეგზეც იქონია გავლენა. ამ ყველაფრის მოწყობა მაშინ კახა კალაძეს დაბრალდა და ჯოხი მასზე გადატყდა. ყველაფერში დამნაშავე კი გოგაშვილი იყო.

***– მას რა ინტერესი უნდა ჰქონოდა?***

– შესაძლოა, ის თავის მხრივ ეკონტაქტებოდა კალაძეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი მან მოიმოქმედა. ამას მოჰყვა რუსთავი 2-ის გარშემო დატრიალებული ამბები. სუს-მა მასზე კონტროლის დაწესება მოინდომა, თუმცა შედეგი მივიღეთ საპირისპირო. ახლანდელი რუსთავი 2 წინა წლის რუსთავი 2-ზე ბევრად უფრო ძლიერია. ისინი ბევრად უფრო გაბედულად ლაპარაკობენ, რადგან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უდგას გვერდში, აღარაფერს ვამბობ აშშ-ის საელჩოზე.

სუსი ჩაერია რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებშიც, რომელიც იანვრის ბოლოს უნდა გაიმართოს. რაგბის კავშირში სუს-მა აურია.

გოგაშვილის სახელს უკავშირდება შარშან შუალედურ არჩევნებში მომხდარი სკანდალი. საგარეჯოში არჩევნები ხელოვნურად მოაგებინეს თამარ ხიდაშელს. რასაც მე ნაციონალების გამარჯვებად მივიჩნევ.

***– რანაირად არის ეს ნაციონალების გამარჯვება?***

– რანაირად და თამარ ხიდაშელი რესპუბლიკელია. რესპუბლიკელები კი ნაციონალური მოძრაობის დასაყრდენს წარმოადგენენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, ახლა გოგაშვილი აპირებს, რომ არჩევნები მან ჩაატაროს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მას უკვე კახა კალაძე დაეჯახა. ყველამ ვიცით, რომ „ქართული ოცნების“ სტრუქტურული ერთეულები ვიცე-პრემიერს აბარია.

გოგაშვილი ცდილობს, რომ რაიონებში პარტიის თავმჯდომარეებად და მოადგილეებად თავისი ხალხი წარადგინოს, რაც პარტიაში დაძაბულობას იწვევს. ამას აკეთებს იმისთვის, რომ თავისი ხალხი გაიყვანოს პარლამენტში და შემდეგ მთელი ძალაუფლება ნაციონალებს გადასცეს.

***– თუ გოგაშვილი ასეთ რაღაცებს აკეთებს, ხელისუფლებას სძინავს? რას აკეთებს თუნდაც სუს-ის უფროსი ვახტანგ გომელაური?***

– მე როგორც ვიცი, გოგაშვილი გომელაურს საქმის კურსში არ აყენებს და მის ზურგს უკან აკეთებს რაღაც საქმეებს.

***– სუს-ის უფროსმა არ უნდა იცოდეს, რა ხდება მის ზურგს უკან?***

– იმედია, გაიგებს. პირადად მე ვაპირებ, რომ მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გავასაჯაროო. როგორ შეიძლება ნაციონალებს რამეში დაეთანხმო, მაგრამ რასაც გოგაშვილზე ეგენი წერენ, არის სიმართლე.

***– ნაციონალები მასზე ძალიან ცუდ რაღაცებს წერენ, თქვენ კი ამბობთ, რომ ის მათზე მუშაობს. ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

– ნაციონალები მას იმიტომ ლანძღავენ, რომ რაღაცები არ გაიშიფროს. გოგაშვილის მიზანი ხელისუფლებაში მათი დაბრუნებაა. ჩემთვის ყოფილი ხელისუფლებაც და სუს-ის უფროსის მოადგილეც ერთნაირად მიუღებელია.

***– თქვენ არასდროს დაგიმალავთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილს უჭერდით მხარს. ეს გოგაშვილი მის კადრად რომ ითვლება, ამაზე რას იტყვით?***

– არ არის გოგაშვილი ღარიბაშვილის კადრი. ეს ხმებიც შეგნებულად არის გავრცელებული. სუს-ის უფროსის მოადგილემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყოფილი პრემიერი გზიდან ჩამოეშორებინა. ვის და რა ინფორმაციებს აწვდიდა ღარიბაშვილთან დაკავშირებით, ამას ეტაპობრივად გავასაჯაროებ.

## მანუჩარ მაჩაიძე: „ოლიმპის“ სტადიონი ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს უშლის“



თბილისის საკრებულოს წევრი, ვეტერანი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე ჯიქიას ქუჩაზე სპორტული სკოლა „ოლიმპის“ სტადიონის დანგრევას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ სკოლის დაშლისა და დანგრევის ნებართვა წინა ხელისუფლების დროს გაიცა და მოქმედი ხელისუფლება გაცემულ თანხმობას ვერ შეცვლიდა.

მანუჩარ მაჩაიძის თქმით, ხელოვნურმა სტადიონებმა ქართული ფეხბურთის დეგრადაციას შეუწყო ხელი, ასეთი სტადიონები ეტაპობრივად უნდა მოისპოს და უნდა აღდგეს ტრადიციული საფეხბურთო სკოლები.

**მანუჩარ მაჩაიძე:**

– ძალიან ცუდია, რომ 350 ბავშვს აღარ აქვს ვარჯიშის საშუალება და სკოლა დაიშალა, მაგრამ ამ სკოლას ჰქონდა ხელოვნური საფარი, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს უშლის. სკოლის დაშლისა და დანგრევის საკითხი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გადაწყდა, როცა თბილისი მერის მოადგილემ – აბესაძემ ინვესტორს მისცა თანხმობა, რომ ეს სტადიონი დაეშალა.

წინა ხელისუფლების დროს გაცემულ თანხმობას დღეს მოქმედი ხელისუფლება ვერ შეცვლიდა. ხელოვნურმა სტადიონებმა ხელი შეუწყო ქართული ფეხბურთის დეგრადაციას. არ ვიცი, ვინ მფარველობს საქართველოში ხელოვნურსაფარიან მოედნებს, მაგრამ აშკარად ძალიან იმატა მათმა რიცხვმა საქართველოში. ეს საშიშია ჯანმრთელობისთვის, ხელოვნურ საფარზე თამაშისას სხვა კუნთი მუშაობს და მიწაზე კი – სხვა კუნთი. ხელოვნურსაფარიანი სტადიონები ეტაპობრივად უნდა მოისპოს. მერიამ თბილისის ყველა რაიონში 1 ან 1,5 ჰექტარი უნდა გამოყოს იმისთვის, რომ მასზე მიწის სტადიონები აშენდეს. კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ განადგურდა ძველ უბნებში არსებული საფეხბურთო სკოლები, ამის გამო ბავშვები ფეხბურთზე ველარ დადიან. აუცილებელია ძველ უბნებში, ტრადიციული საფეხბურთო სკოლები აღდგეს.

**მედიანიუსი**

## ზუგდიდში მცხოვრები დევნილები შეშას ითხოვენ




ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილ შენობაში ჩასახლებული დევნილები აქციებს მართავენ. აქციის მონაწილეები სოციალური დახმარების აღდგენას ითხოვენ, რომელიც, მათივე განმარტებით, 60-მდე ოჯახს 7 იანვარს 3 თვით, გადამოწმების მიზნით შეუჩერეს.

– აქციებს ვმართავთ. არავინ გვაქცევს ყურადღებას. შუქი ჩამიჭრეს. გასათბობად ტანსაცმელს ვწვავთ, – აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

დევნილებთან აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიკვაიძე იმყოფებოდა, რომლის განმარტებითაც, ადგილობრივი მთავრობა დევნილებს შეშით მოამარაგებს.

მისი თქმით, აფხაზეთის მთავრობა ერთჯერად, 100 ლარიან დახმარებას გამოყოფს დევნილთა გარკვეულ კატეგორიაზე.

აქციის მონაწილეები მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პროტესტის უკიდურესი ფორმით – შიმშილობით იმუქრებიან.

**ინტერპრესნიუსი**

## ერაყელმა სტუდენტებმა ბინადრობის უფლების შეჩერების გამო აქცია გამართეს

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერაყელმა სტუდენტებმა ბინადრობის უფლების შეჩერების გამო აქცია გამართეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, ერაყელი სტუდენტები უნივერსიტეტისგან დახმარებას ითხოვენ. მათი განმარტებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეუძლია იმ 10 სტუდენტის დახმარება, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრომ საქართველოში ბინადრობის უფლება შეუჩერა.

– შეგვიჩერეს ბინადრობის უფლება და მიზეზი არ უთქვამთ. მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ჩვენი საქართველოში ყოფნა საშიშია.

ჩვენ არ გვქონია რაიმე პრობლემა, თუნდაც ჯარიმა, რაც ბინადრობის უფლებას შეგვიჩერებდა. ჩვენ არ ვართ საშიში. დღეიდან ვიწყებთ აქციებს, არ ვაპირებთ შევიდეთ ლექციებზე, სანამ არ დაგვეხმარება უნივერსიტეტი, – განაცხადა მუსტაფა კარაკულიმ.

**ინტერპრესნიუსი**

## ბორჯომში მე-12 კლასის მოსწავლემ თავი ჩამოიხრჩო

ბორჯომში მე-12 კლასის მოსწავლემ თავი ჩამოიხრჩო. გავრცელებული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. მათი განმარტებით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. სუიციდის მოტივი ამ დროისთვის უცნობია. მოზარდი ბორჯომის №6 საჯარო სკოლაში სწავლობდა.

**ინტერპრესნიუსი**




## საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს

საპატრიარქოს განმარტებით, ბერ ნიკოლოზს თითქმის 20 წელია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული



გარკვეული მიზეზების გამო შეჩერებული აქვს მღვდელმსახურება.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბერი ნიკოლოზის (მაქარაშვილი) ფოტოების გავრცელების ფაქტს საქართველოს საპატრიარქო განცხადებით გამოეხმაურა.

– საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში, განსაკუთრებით კი სამკურნალო დაწესებულებებში ეკლესიის სახელით ვრცელდება ბერი ნიკოლოზის (მაქარაშვილი) ფოტოები ასეთი ტექსტებით: „მხსნელი“, „გადამრჩენელი“ და ა.შ.

გვინდა განვმარტოთ, რომ ბერ ნიკოლოზს თითქმის 20 წელია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული მიზეზების გამო შეჩერებული აქვს მღვდელმსახურება, – აღნიშნულია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# კონსტანტინე გამსახურდია: „გამოსავალი ორპალატიანი პარლამენტია“

ნათია ხურცილავა





ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნას უერთდება და პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან ითხოვს შეხვედრას.

**კონსტანტინე გამსახურდია:**

– ჩვენ გვინდა ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. თუ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას გადავხედავთ, არ არსებობს არჩევნები, რომელთაც არ მოჰყოლია უკმაყოფილება, დაპირისპირება. საგარეჯოში ჩატარებული არჩევნებიც ამის კარგი მაგალითი იყო. პირველი სამართლიანი არჩევნები 1990 წელს 28 ოქტომბერს ჩატარდა, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭო იქნა არჩეული. ეს იყო პირველი არაკომუნისტური, არასაბჭოური, მრავალპარტიული და თავისუფალი არჩევნები.

***– კომუნისტური პარტია რომ დამარცხდა, იმ არჩევნებზე საუბრობთ?***

– დიახ, როდესაც კომუნისტები დამარცხდნენ და გაიხსნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივა, რაც კიდეც განხორციელდა, მაგრამ სამწუხაროდ, მას შემდეგ ქვეყანა ბევრი დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

***– ის არჩევნები რა სისტემით ჩატარდა?***

– პირველი არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდა. თავის დროზე, ეს პროგრესული იყო, რადგანაც არ იყო შესაძლებლობა, რომ მრავალპარტიული პარლამენტი არჩეულიყო. მაშინ დაუშვეს, რომ ერთი ნაწილი დეპუტატების მაჟორიტარული სისტემით არჩეულიყო, მეორე ნაწილი კი – პროპორციული, პარტიული სიებით. სწორედ პარტიული სიების შემოტანა იყო დიდი პროგრესი, ეს იყო არნახული რამ, რადგან კომუნისტური არჩევნები ყოველთვის მაჟორიტარული სისტემით ტარდებოდა და იმ არჩევნებში არანაირი პარტია არ იყო. ყველა ადამიანი იმ ერთი პარტიის – კომუნისტური პარტიის წევრი იყო.

მაშინ პროგრესული იყო შერეული სისტემა, მაგრამ ახლა ეს სისტემა სხვადასხვა ჯგუფებმა მოირგეს. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ბიზნესში მონოპოლიები აქვთ. სწორედ ესენი გვევლინებიან პარლამენტში მაჟორიტარებად. ისინი ნებისმიერი მმართველი პარტიის სალაროს და, გარკვეული თვალსაზრისით, ქვეყნის ბიუჯეტსაც ავსებენ. ამას კი სრული კარტბლანშითა და მონოპოლიით ახერხებენ. ეს არის ის სისტემა, რომელიც გვაქვს და რომელიც შეუძლებელია, რომ ჯანსაღი იყოს.

***– მაჟორიტარული სისტემის მომხრეთა არგუმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მაჟორიტარული სისტემაა. რამდენად ადეკვატურია ეს არგუმენტი?***

– ეს არის უსუსური არგუმენტი და სრულიად გაუმართლებელი, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში ორპალატიანი სისტემაა. არსად, გარდა საქართველოსი, არ ირჩევა დეპუტატი მაჟორიტარული წესითა და პროპორციული სისტემით ერთდროულად. ეს დაშვებულ იქნა ჩვენთან 1990 წელს, რადგან მაშინ სხვა გზა არ არსებობდა და მოგიყევით, რატომაც იქნა დაშვებული.

მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება ამ დათმობაზე რომ წავიყვანეთ, ეს დიდი ამბავი იყო. ამას სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვა დასჭირდა და შემდეგ საბჭოთა კავშირის მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ ბაკატინთან მოლაპარაკებები.

რაც შეეხება ამერიკას, იქ სენატი ირჩევა მაჟორიტარული წესით, კონგრესი კი – პარტიული სიებით, პროპორციული სისტემით. საქართველოს კონსტიტუციაში იყო დათქმა, რომ საქართველოს პარლამენტი ვერ იქნება ორპალატიანი, ვიდრე რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები არ დაგვიბრუნდება. თუმცა, ეს არ არის გადაულახავი პრობლემა: ჩვენ შეგვიძლია ორპალატიანი სისტემა შემოვიღოთ, მეორე პალატაში იყვნენ აფხაზეთიდან დეპუტატები არჩეულები და შეიძლება, მაგალითად, ზედა პალატა დარჩეს ქუთაისში და მეორე პალატა, პროპორციული სიით არჩეული დეპუტატები, თბილისში გადმოვიდნენ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ამ გზით წავიდეთ.

***– ორპალატიანი პარლამენტი გამოსავალი შეიძლება იყოს შექმნილი სიტუაციიდან?***

– რასაკვირველია, ეს არის აბსოლუტური გამოსავალი, მაგრამ ჩვენ ეს ჩვენს განცხადებაში და მიმართვაში, გარკვეული პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, არ ჩავწერეთ.

***– პრემიერ კვირიკაშვილთან შეხვედრას ითხოვთ. რა მოლოდინი გაქვთ?***

– ახალი პრემიერი, ვფიქრობ, პროგრესული და მოწინავე სახეა, შესაძლოა, რომ მასთან შეხვედრა და დიალოგი მოხერხდეს.

***– შეგხვდებათ?***

– რასაკვირველია, ის იქნება თავის გუნდზე დამოკიდებული, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს შეხვედრა მოხდება. რამდენად იქნება ნაყოფიერი, ამის თქმა კი მიჭირს, რადგან გუნდურობის პრინციპი მუშაობს და ალბათ გუნდი მიიღებს გადაწყვეტილებას.

***– თუ არ შეგხვდათ?***

– იმედი მაქვს, რომ შეგვხვდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# მამუკა გიორგაძე: „გაზპრომთან ურთიერთობა კითხვებს აჩენს“

## „ჩვენი პრობლემაა ბელადებზე აწყობილი საბჭოთა სისტემა“

მარიამ მჭედლიშვილი






საზოგადოებაში გამოითქმის პროტესტი იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსულ სახელმწიფო კომპანია გაზპრომთან.

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ ისეთ სახელმწიფოსთან ნებისმიერი კონტაქტი, როგორიც რუსეთია, ნებისმიერ შემთხვევაში მიბმულია პოლიტიკასთან, რაც საშიშია.

**მამუკა გიორგაძე:**

– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნებისმიერი თემა და სფერო, სპორტითა და ბიზნესით დაწყებული, ხელოვნებით დამთავრებული, უკავშირდება პოლიტიკას. გაზპრომის საკითხიც მიბმულია პოლიტიკასთან. ხელისუფლებისგან ბევრჯერ მოგვისმენია ფრაზები რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე. ისიც ირკვევა, რომ გაზპრომის ხელმძღვანელობასთან შეხვედრები ფარული იყო. თუ ეს მოლაპარაკებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს, მაშინ რატომ არ მიეწოდება ამის თაობაზე ინფორმაცია საქართველოს საზოგადოებას? ეს აჩენს ეჭვებს – ხომ არ მზადდება ისეთი რამ, რაზეც მოლაპარაკებების სუბიექტებმა წინასწარ იცოდნენ?

***– არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ პრემიერის შეცვლაც ამას უკავშირდება.***

– საქართველოში გადაწყვეტილებებს ძირითადად ერთი პირი იღებს. არა მგონია, რომ ირაკლი ღარიბაშვილს მის მიმართ დაუმორჩილებლობა გამოეხატა და ის ამის გამო გაეშვათ. არც ის მგონია, რომ გიორგი კვირიკაშვილმა ხელი მოაწეროს იმას, რასაც თითქოს ხელი არ მოაწერა ღარიბაშვილმა. როცა ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი არაა, როცა ყველაფერი ბელადის ნება-სურვილით კეთდება, პრემიერის გადადგომა შეიძლება ნებისმიერ საკითხს დაუკავშირო.

***– მინისტრების ნაწილიც უნდა შეიცვალოს.***

– მინისტრების შეცვლა არ აისახება ქვეყნის განვითარებაზე. სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს ჯანსაღი ვითარება, არ არსებობს პოლიტიკური ინფრასტრუქტურა. სამაგიეროდ, ძალიან დიდია ერთი პიროვნების უფლებები, როლი და ფუნქცია.

არსებობს ბელადი და მისი მომსახურე პერსონალი, რომელსაც შეცდომით უწოდებენ პოლიტიკურ ელიტას. ამ სიტუაციაში მინისტრების ცვლას არაფერი მოაქვს. ესაა კარის ინტრიგები, რომლებიც შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მმართველის ახლობლებისთვის. ასეთი მანკიერი სისტემა დამანგრეველია ქვეყნისათვის. ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ქვეყნის განვითარება დაეფუძნა პოლიტიკურ ინფრასტრუქტურას და არა – პიროვნებების საქმიანობას.

***– პოლიტიკური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად პოლიტიკოსები არ არიან საჭირო? პოლიტიკაში არაპოლიტიკოსები მოდიან.***

– ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ გვეშლება ადამიანური თვისებები და პროფესიონალიზმი. ფეხბურთში ფეხბურთელს ხომ არ ვაფასებთ იმით, რომ ის კეთილია, იუმორის გრძნობა აქვს ან კარგად ცეკვავს? ფეხბურთში არ მოგვყავს ისინიც, ვინც კალათბურთს თამაშობდა. პოლიტიკაც ასეა. გამოჩნდნენ თავის სფეროში განთქმული ადამიანები კარგი პიროვნული თვისებებით. ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს მათ ღირებულებით სისტემაზე.

ყოფილი მსახიობი რეიგანი ნამდვილად იყო გამორჩეული პრეზიდენტი, მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევაა. იგი ადრეც აქტიურად ჩაბმული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. რეიგანს ჩამოყალიბებული ხედვები და პროგრამები ჰქონდა. საქართველოში ღირებულებათა სისტემა უკანა პლანზეა გადაწეული და ყველაფერი ემყარება პიროვნებებს. გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი ყოველმხრივ განსხვავებული პირები იყვნენ და არიან, მაგრამ მათ არ შეცვალეს ბელადებზე აწყობილი საბჭოთა სისტემა. თითოეულის გარშემო იკრიბებოდა პირადი ინტერესებით შეპყრობილი ჯგუფი და არა – თანამოაზრეთა გუნდი.

***– თქვენ ღირებულებებისა და ხედვების ნაკლებობას არ განიცდით. რატომ ვერ ახერხებთ თანამოაზრეებთან გაერთიანებას?***

– მრავალი წელიწადია, სწორედ იმიტომ გვებრძვიან, რომ ჩვენი ჩამოყალიბებული ფასეულობები გვაქვს. ამიტომ, არ ვჯდებით დამკვიდრებულ საბჭოურ-ბოლშევიკურ მოდელში. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ბელადომანიას კარგი არაფერი მოაქვს. სტალინის დაღუპვის შემდეგ ვერავის წარმოიდგენდა, რომ მის შემდეგ იქნებოდა ბელადი, მაგრამ მალე ბელადად იქცა ხრუშჩოვი, შემდეგ – ბრეჟნევი და ასე შემდეგ.

ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ თანამოაზრეთა გუნდი შევქმნათ. ამ მუშაობას არ შევანელებთ. მეორე მხრივ, საზოგადოებამაც მხარი უნდა დაუჭიროს პროგრამებს, ღირებულებებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ სფეროში რაღაც გაუკეთებიათ. სხვანაირად, სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს და ქვეყნის განვითარებას საშველი არ დაადგება.

# სუს-ის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე სამი პირი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1979 წელს დაბადებული მირიან ბ, 1971 წელს დაბადებული კონსტანტინე ბ. და 1976 წელს დაბადებული იოსებ ჩ. დააკავეს.

აღნიშნული პირები თბილისში, რადიოაქტიული ნივთიერება ცეზიუმ 137-ის გასხვისებას 100.000 აშშ დოლარად აპირებდნენ, რა დროსაც ისინი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს. ამოღებულია რადიოაქტიული ნივთიერება ცეზიუმ 137.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა განკარგვის მიზნით უკანონოდ შეიძინეს და ქ. თბილისში უკანონოდ, დადგენილი წესების დაუცველად, შეინახეს რადიოაქტიური ნივთიერება – ელემენტ ცეზიუმის რადიოაქტიური იზოტოპიCs137 (ცეზიუმ 137).

აღნიშნული ნივთიერება წარმოადგენს ბირთვული რეაქციის პროდუქტს და რადიოაქტიური (გამა) გამოსხივების დოზის სიმძლავრის და თვით წყაროს რაობის გათვალისწინებით, საქმეზე ჩატარებული რადიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

გამოძიება რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილით).

გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის მეხუთე მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველო.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „კალაძეს გაზპრომთან მოლაპარაკება ივანიშვილმა შთააგონა“


მუბარიზ აჰმედოღლუ

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი: „გაზპრომი 10-დან 5%-მდე შეამცირებს გადასახადს, რომელსაც საქართველოს სომხეთში გაზის ტრანსპორტირებისთვის უხდის“

– გაზპრომი 10-დან 5%-მდე შეამცირებს გადასახადს, რომელსაც საქართველოს სომხეთში გაზის ტრანსპორტირებისთვის უხდის.

ამის შესახებ აზერბაიჯანელი პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი მუბარიზ აჰმედოღლუ აზერბაიჯანულ სააგენტო ტრენდთან საუბარში აცხადებს.

პოლიტოლოგის თქმით, რუსეთს ტარიფის შემცირება ყოველთვის უნდოდა, თუმცა აქამდე ამას ვერ ახერხებდა.

– ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძისა და ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მითმა „აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლობის შესახებ“ ამ საკითხში ცვლილებები განაპირობა და გაზპრომმა ეს საკუთარ ინტერესებში გამოიყენა. ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, როდის და რა პირობებით დასრულდება გაზის დამოუკიდებლობის თამაშები. ეს თამაშები დასრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთი სომხეთში გაზის ტრანზიტისთვის საფასურს 10%-დან 5%-მდე შეამცირებს, – აცხადებს პოლიტოლოგი.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი გაზპრომის ერთ-ერთი აქციონერია, ამიტომ სურს, ტრანზიტის საკითხი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს.

– კახი კალაძეს გაზპრომთან მოლაპარაკებები ივანიშვილმა შთააგონა, – აცხადებს პოლიტოლოგი.

აჰმედოღლუს ინფორმაციით, ირანის გაზის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიის გენერალური დირექტორის, ალირეზა კამელის ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადება, რომ ირანულ და ქართულ დელეგაციებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა, სიმართლეს არ შეესაბამება და მსგავს მოლაპარაკებებს ადგილი არ ჰქონია.

პოლიტოლოგის შეფასებით, არ არსებობს მილსადენი, რომლის საშუალებითაც სომხეთიდან საქართველოში ირანული გაზის მიწოდება გახდება შესაძლებელი.

– საქართველო-სომხეთს შორის არის მხოლოდ ერთი გაზსადენი, რომლის გავლითაც ხდება გაზის ტრანსპორტირება საქართველოდან სომხეთში. იმისთვის, რომ ამ გაზსადენით დაიწყოს გაზის ტრანსპორტირება სომხეთიდან საქართველოში, საჭიროა დრო და ფინანსები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი რუსეთის, სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკური შეთანხმება გახდება გაზსადენის რევერსულ რეჟიმზე გადაყვანის საკითხზე, – აცხადებს აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი.

ის დასძენს, რომ კალაძეს თავისი განცხადებებით აზერბაიჯანის დასჯა უნდოდა.

**ბიპიენი**

# კალაძე: „რა ტრაგედიასაც გაზპრომთან დაკავშირებით ხატავენ, მარაზმია“



– რა ტრაგედიასაც გაზპრომთან დაკავშირებით ე.წ. ექსპერტები ხატავენ, არის მარაზმი და არასწორი.

ასე უპასუხა ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ გაზპრომთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას.

როგორც კალაძემ განმარტა, მოლაპარაკებები ქართული მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ არ არის პირველი წელი, როდესაც ქართულ მხარეს გაზპრომთან ურთიერთობა აქვს და აღნიშნა, რომ არსებული ხელშეკრულების გადახედვა ყოველწლიურად ხდება.

– თუმცა ამ შემთხვევაში მოთხოვნა არის, შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები – გადავიდეთ ფულად ანაზღაურებაზე ანუ ჩვენ მიერ გატარებული 10 პროცენტიანი მოცულობის მაგივრად გადაგვიხადონ თანხები, – განაცხადა კახა კალაძემ.

მან აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკებები დიდი ხანია დაწყებულია. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, თუმცა შეთანხმება მიღწეული არ არის.

– ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩვენ ვისმენთ გაუგებარ განცხადებებს ე.წ. ექსპერტების მხრიდან. თუ ვინმეს მართლა აქვს სერიოზული სურვილი გაიგოს დეტალები, ენერგეტიკის სამინისტრო, პირადად მე, მზად ვარ, ამ ადამიანებს შევხვდე – მოვიდნენ და მივაწვდით ყველა რეალურ ინფორმაციას, – განაცხადა კალაძემ.

– რატომ იგებს ქართული მედია გაზპრომთან შეხვედრაზე ინფორმაციას რუსული და აზერბაიჯანული მედიით?

ამ კითხვაზე პასუხისას კალაძემ აღნიშნა, რომ ყველა შეხვედრასთან დაკავშირებით მისმა უწყებამ განცხადება გააკეთა.

– თუმცა მინდა გითხრათ, რომ შეთანხმება არ არის მიღწეული. სამუშაო შეხვედრების შედეგად, რომლებიც რამდენჯერმე შედგა, რეზულტატი არ დამდგარა. როდესაც გარკვეული შეთანხმება შედგება, ყველასთვის იქნება ცნობილი, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

მან დასძინა, რომ საუბარია გაზპრომთან ახალ, 1-წლიან ხელშეკრულებაზე.

**ბიპიენი**

# აიკრძალება თუ არა ონლაინ-თამაშები





პრემიერ-მინისტრის ინიციატივას ინტერნეტ-კაზინოების მიმართ მკაცრი რეგულაციების დაწესებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობაში იზიარებენ.

გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ მოხდება ამ ბიზნესის საფუძვლიანად შესწავლა. მისი თქმით, წინასწარი მონაცემებით, საკმაოდ დამაზიანებელია ეს ბიზნესი, თუ არ იქნა ძალიან მკაცრი რეგულაცია.

– მინდა გავერკვე, როგორ შეიძლება ამ ტიპის ბიზნესში მკაცრი რეგულაციების აღსრულება. თუ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასეთი რეგულაციების აღსრულება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, შესაძლოა, სხვა ტიპის ზომებიც მივიღოთ. საფუძვლიანად შევისწავლით ამ საკითხს და შევეცდებით, რომ ის ზიანი, რომელიც მოქალაქეებისთვის მოაქვს ამ ბიზნესს, თავიდან იქნას აცილებული, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ონლაინ-თამაშების აკრძალვას ეთანხმება დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძე.

დეპუტატი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ეს რეგულაცია არ იქნება ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლის შემაფერხებელი.

– ონლაინ-კაზინოები ინვესტიციების შემოსვლასთან პირდაპირ კავშირში არ არის, რადგან ინტერნეტ-კაზინო რეალურად არის ვებ-გვერდი და ასეთი კაზინო შეიძლება იყოს უცხო ქვეყანაში დაფუძნებული და საქართველოს მოქალაქე თამაშობდეს. ანუ რეალურად, შესაძლებელია თანხა ქვეყნიდან გაედინებოდეს. ეს არ არის სისტემა, რომელიც საქართველოს ეკონომიკას სარგებელს მოუტანს, – აცხადებს მაისურაძე.

დეპუტატის შეფასებით, ამ სისტემას ქვეყნისთვის ზარალი მოაქვს.

კერძოდ, ახალგაზრდები ცდილობენ, ფული იოლი გზით იშოვონ, აქედან გამომდინარე, ისინი მშობლების გარეშე აკეთებენ გადარიცხვებს ფეი ბოქსების საშუალებით. მაისურაძის თქმით, ონლაინ-კაზინოები აბსოლუტურად უკონტროლოა.

მაისურაძე აცხადებს, რომ ამ საკითხს არ შეიძლება ერთი მხრიდან შევხედოთ. ბიზნესის ინტერესი ქვეყნის ინტერესებისგან ძალიან განსხვავდება. კერძოდ, ბიზნესის ინტერესია, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგება მიიღოს, სახელმწიფოს ინტერესი კი ის არის, რომ მოქალაქეებს მაქსიმალური სარგებელი მისცეს.

– იმ ქვეყნებში, სადაც სამსახური ადვილად იშოვება და დასაქმების პრობლემა არ არის, ონლაინ-კაზინოებით ძალიან ცოტა ადამიანი სარგებლობს. მათ შეუძლიათ შემოსავლები სხვა წყაროდან – ხელფასებიდან იშოვონ, ჩვენთან კი ადამიანი ცდილობს, იოლი გზებით იშოვოს ფული, – აცხადებს მაისურაძე.

* * *

„კომერსანტი“ დაინტერესდა ამ ბაზარზე მთავარი მოთამაშეების პოზიციით. როგორ აისახება ონლაინ-თამაშების აკრძალვა მათ შემოსავლებზე და ხომ არ იქნება დაწესებული რეგულაცია სექტორში ინვესტიციების შემაფერხებელი?

ჩვენ აჭარაბეთსა და ევროპაბეთს დავუკავშირდით, თუმცა ამ კითხვაზე არც ერთმა კომპანიამ არ გვიპასუხა.

გასული წლის იანვარში, როდესაც ონლაინ-თამაშების აკრძალვის ინიციატივით შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე ლევან იზორია გამოვიდა, ამ ბიზნესის წარმომადგენლებმა და საპარლამენტო უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოხატეს.

აჭარაბეთის მარკეტინგის მენეჯერი ლადო ხარხელაური აცხადებდა, რომ ონლაინ-თამაშების აკრძალვა ამ სფეროს სერიოზულად დააზარალებდა და ყველა კომპანიას მოუწევდა ყოფნა-არყოფნაზე დაფიქრება.

მაშინ ხარხელაური ამბობდა, რომ სამორინის დარბაზის შემოსავალი ვერ ფარავს ხარჯს და ძირითადი წყარო, დაახლოებით, 80-85 პროცენტი, სწორედ ონლაინ-თამაშებიდან მიღებული შემოსავალია.

– სახელმწიფო ძალიან სერიოზულად დაზარალდება. ჩვენთან ერთი დღის განმავლობაში შემოდის 500-1.000 ადამიანი, ონლაინში კი დღეში 60.000-70.000 ადამიანი თამაშობს. მათ შორის დიდი პროცენტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაა. ონლაინის გაუქმება სფეროს დემორალიზაციას გამოიწვევს, – აცხადებდა ხარხელაური.

* * *

სათამაშო ბიზნესის შემზღუდავი კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში 2014 წელსაც, დეპუტატ კობა დავითაშვილის ავტორობითაც დარეგისტრირდა, თუმცა მაშინ საქმე პირველი მოსმენით განხილვას არ გასცდენია და დავითაშვილის ინიციატივაც ჩავარდა.

რა გაგრძელება ექნება ამჯერად უკვე პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, ახლო მომავალში გამოჩნდება.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# ქუთაისში მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს

ქუთაისში მიკროავტობუსების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი სატენდერო პირობებს აპროტესტებენ.



მათი თქმით, მერია ახალი მიკროავტობუსების შეძენას ითხოვს და მაღალ გადასახადებს აწესებს.

ტელეკომპანია „იმედის“ ცნობით, მძღოლები პერმანენტული აქციების გამართვით იმუქრებიან.

**ნიუსპრესი**

# ოთხი მსხვილი კომპანია ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივის




კოკა-კოლამ, ბორჯომმა, წყალი მარგებელმა და კასტელ ჯორჯიამ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

სარჩელის ავტორები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებსა და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებას ასაჩივრებენ.

ისინი მიიჩნევენ, რომ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების დამდგენი ნორმატიული აქტები არაკონსტიტუციურია, კერძოდ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 21-ე და 30-ე მუხლებს.

– სარჩელი ემყარება იმ არგუმენტაციას, რომ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების დამდგენი სადავო აქტებით მოსარჩელეებს ეზღუდებათ საქართველოში საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის შესაძლებლობა.

არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების წესი არაკონსტიტუციურია, რამეთუ ზღუდავს საკუთრების უფლებას იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური საჯარო მიზნების მისაღწევად.

აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელეებს უწევთ მეტი ქონებრივი ტვირთის გაღება, ვიდრე ეს აუცილებელია ჯეროვანი საგადასახადო ადმინისტრირებისთვის, – ნათქვამია სარჩელში.

სარჩელის ავტორები მიიჩნევენ, რომ მოსარჩელეების საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა-დარღვევის გარდა, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების წესი დისკრიმინაციულია იმდენად, რამდენადაც ის ამ ეტაპზე მხოლოდ არაალკოჰოლური სასმელების (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლების) მწარმოებლებს ეხება და მათთვის სრულიად უსაფუძვლო ფინანსურ ტვირთს წარმოშობს.

სარჩელის ავტორები საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ, რომ სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი ზეპირი მოსმენით განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყვიტოს.

კომპანიებმა საკონსტიტუციო სასამართლოს დეკემბრის შუა რიცხვებში მიმართეს.

**კომერსანტი**

# ნავთობის ფასი, შესაძლოა, 20 დოლარამდე დაეცეს

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი, შესაძლოა, 20 აშშ დოლარამდე დაეცეს.

ამის შესახებ ბლუმბერგი ამერიკულ ბანკ მორგან სტენლიზე დაყრდნობით წერს.



ანალიტიკოსების მოსაზრებით, ბრენტის მარკის ნავთობის ფასი 10-25%-ით იმ შემთხვევაში შემცირდება, თუ დოლარი 5%-ით გაძვირდება.

მორგან სტენლიში ფიქრობენ, რომ ნავთობის ღირებულებაზე ამერიკული ვალუტა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

**ბიპიენი**

# „ჩემი შვილის მკვლელის ციხიდან გამოშვებას ასე არ დავტოვებ“

## გარდაცვლილი პოლიციელის დედა ეკა ბესელიას, მანანა კობახიძეს და ნანა კაკაბაძეს ქრთამის აღებაში ადანაშაულებს

**2011 წლის 26 მაისის ღამეს გარდაცვლილი პოლიციელის, ვლადიმერ მასურაშვილის დედა, ანა აზნაურაშვილი დეპუტატებს ეკა ბესელიას და მანანა კობახიძეს, ასევე უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს მისი შვილის მკვლელის პოლიტპატიმართა სიით ციხიდან გამოშვებისთვის ქრთამის აღებაში ადანაშაულებს.**

როგორც ანა აზნაურაშვილმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ბესელიას და კაკაბაძის მიერ ქრთამის აღების შესახებ მან იცოდა, თუმცა იმის შესახებ, რომ კობახიძემაც „მოითბო ხელი“ მისი შვილის მკვლელის ციხიდან გამოშვებაზე, ოდნავ მოგვიანებით გაიგო.

**გარდაცვლილი პოლიციელის დედა, ანა აზნაურაშვილი:**

– 4 წელზე მეტი გავიდა იმ ავადსახსენებელი ღამიდან, როცა ჩემ თვალწინ ტელევიზიით მაყურებინეს როგორ მოკლეს ჩემი შვილი. ათასი, ათიათასობით ადამიანის თვალწინ.

ყველამ ნათლად დაინახა როგორ გადასრისა ბურჯანაძის ერთ-ერთმა მანქანამ ჩემი შვილი, რომელშიც როგორც თვითონ აღიარა იჯდა ალექსანდრე ბიბილური. მან გაიტანა ჩემი შვილი. უკიდურესად მძიმე დაზიანებები მიიღო. კიდურების დამტვრევა, ყველა ორგანოს გადახეთქვა. ის მაშინვე გადაიყვანეს საავადმყოფოში. ამას იმისთვის ვამბობ, რომ სხვა ვერსიები, რომელიც გავრცელდა ჩემი შვილის მკვლელობაზე სიმართლე არ არის.

უმძიმეს მდგომარეობაში, აგონიაში მყოფი წაიყვანეს საავადმყოფოში. ეს ყველაფერი თავის თავზე ალექსანდრე ბიბილურმა აიღო. მე რამდენად ვეთანხმები ამას ეს სხვა საკითხია, თუმცა რადგან მან განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს და ეს ადამიანი უნდა იჯდეს ციხეში. მას 8 წელი მიესაჯა. ასევე 5 წელი პირობითი და მინდოდა, რომ ბოლომდე მჯდარიყო ციხეში. თუ მერე სხვა სიმართლე გაირკვეოდა ეს უკვე სხვა საკითხი იყო.

მისივე თქმით, როგორც კი გაიგო, რომ პოლიტპატიმართა სია შედგა, მაშინვე მიმართა მთავარ პროკურორს. ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტსაც შეატყობინა, რომ ალექსანდრე ბიბილური იყო მკვლელი და ის ციხიდან არ უნდა გამოეშვათ, თუმცა როგორც აზნაურაშვილი ირწმუნება მას ყურადღება არავინ მიაქცია, არც ერთმა პარლამენტარმა, არც მთავარმა პროკურორმა.

– ამ ყველაფრის მერე ამ ზნედაცემულმა ხალხმა, რომლებსაც სძლია სიხარბემ გამორჩენის მიზნით ეს ყველაფერი გააკეთეს და ბიბილური ციხიდან გამოუშვეს. ამ სამმა ქალბატონმა, ბესელიამ, კაკაბაძემ და კობახიძემ არ იღო ყურად ჩემი, შვილმკვდარი დედის თხოვნა და პირიქით, მასხარად ამიგდეს.

მე ვარ პოლიციელის დედა და მთელ საქართველოს ვეუბნები, ჩემი შვილი მოკლეს და ჩემი შვილის მკვლელის ციხიდან გამოშვებას ასე არ დავტოვებ. ამდენი ხანი ჩუმად იმიტომ ვიყავი, რომ მხარი არავინ ამიბა, ვერავინ დამიდგა გვერდში. თან ჯანმრთელობა შემერყა, ახლა რამდენიმე ადამიანმა გმირულად წამოწია წინ ეს საკითხი და მე მათ ყველანაირად დავუდგები გვერდში. არ მეშინია სიკვდილის, არ მეშინია სისხლის, სიცოცხლის ფასად დავუდგები წინ ამ საქმეს, – აღნიშნა ანა აზნაურაშვილმა.

მასურაშვილის დედა მიმართავს პრემიერ-მინისტრ, გიორგი კვირიკაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილს და სთხოვს, რომ აღკვეთონ ეს ყველაფერი და უსამართლოდ ციხიდან გამოშვებული ხალხი ისევ უკან შეაბრუნონ.

რაც შეეხება კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ გადაუხადა ქრთამი ბესელიას და აქვს თუ არა მას კონკრეტულად დასაბუთებულად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქრთამი აიღეს დეპუტატებმა, აზნაურაშვილი აღნიშნავს, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. რა თქმა უნდა, ის პირადად არ დასწრებია ქრთამის აღების ფაქტს, თუმცა, აზნაურაშვილი აცხადებს, რომ მან და მთელმა საქართველომ კარგად იცის, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიის ყველა წევრის ციხიდან გასათავისუფლებლად პოლიტპატიმართა სიით ფული თავად ბურჯანაძის პარტიამ გადაიხადა.

– იმ ფულის გადაცემას, რა თქმა უნდა, არავინ დამასწრებდა, მაგრამ ის, რომ ამ საქმეში დევს დიდი ფული მე ამის მჯერა. ბურჯანაძის პარტიის წევრებზე ერთიანი ფულია გადახდილი.

ფული ვისაც ჰქონდა, იმან გადაიხადა. მე დავუდგები ყველას გვერდით, ვინც იბრძოლებს სიმართლის დასადგენად.

სიკვდილის ფასადაც რომ დამიჯდეს, არ დავიხევ უკან, არ შევარჩენ ჩემი შვილის სიკვდილს არავის. ჩემი ბედნიერება და ჩემი ოჯახის სიხარული იმ დღეს მოისპო და აღარ არსებობს.

არ შეიძლება პარლამენტში ისხდნენ ადამიანები, რომლებიც ფულის ფასად ყველაფერს გააკეთებენ და ეშმაკსაც კი მიჰყიდიან სულს, – განაცხადა ანა აზნაურაშვილმა პრეს-კონფერენციაზე.

აზნაურაშვილთან ერთად განცხადება გააკეთა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა, ზვიად კუპრავამ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ აღნიშნულ საქმეზე პროკურატურაში საჩივარი შეიტანა.

**ზვიად კუპრავა:**

– 2011 წელს ალექსანდრე ბიბილურის მიერ მოკლული იქნა ოფიცერი ვლადიმერ მასურაშვილი. სასამართლოზე ბიბილურმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მიუხედავად ამისა, 2012 წელს ის პოლიტპატიმართა სიაში მოხვდა და პოლიტპატიმრის სტატუსით დატოვა საპყრობილე.

ეს კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ პოლიტპატიმართა სიას არავითარი საერთო არ აქვს სამართლებრივ პროცესებთან და რომ ეს პროცესები იყო პოლიტპატიმართა სიის შემდგენი კომისიის წევრების პირადი ინტერესის სფერო. პირადი გამორჩენის სფერო. ვინაიდან ბესელია და კობახიძე და სხვა მაღალი თანამდებობის პირები საზოგადოებას არ სცემენ შესაბამის პასუხს, მე მივმართავ საქართველოს პროკურატურას გასცეს პასუხი, თუ რა კრიტერიუმებით სარგებლობდნენ ბესელია და კობახიძე და სხვები, როდესაც მკვლელები პოლიტპატიმართა სიაში შეჰყავდათ, – განაცხადა ზვიად კუპრავამ.

კუპრავა არ გამორიცხავს, რომ საქმეზე სხვა კუთხითაც შევიდეს პროკურატურაში საჩივარი, კერძოდ იმაზე, რომ თავიდან გამოიძიონ რეალურად არის თუ არა ალექსანდრე ბიბილური მასურაშვილის მკვლელი.



### კობახიძე დაღუპული პოლიციელის დედის განცხადებას სიბინძურედ მიიჩნევს

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე 2011 წლის 26 მაისის ღამეს დაღუპული პოლიციელის, ვლადიმერ მანანა მასურაშვილის დედის, ანა აზნაურაშვილის განცხადებებს ცილისწამებად აფასებს.

ლაპარაკია განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა: მანანა კობახიძემ და ეკა ბესელიამ, ასევე უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ მისი შვილის მკვლელი ქრთამის სანაცვლოდ, პოლიტპატიმართა სიაში შეიყვანეს და ციხიდან გაათავისუფლეს.

**მანანა კობახიძე**

– რა თქმა უნდა, მის განცხადებაში არავითარი სიმართლე არ არის. ეს არის ისევ და ისევ ბინძური ცილისწამება, ძალიან ბინძური ფაქტი, რომელსაც სამწუხაროდ, ახლა ეს ქალბატონი ახმაურებს.

ვერ გეტყვით, ვინ მართავს, რა მიზნებით ახმოვანებს. ეს ისეთივე სიბინძურე და ცილისწამებაა, რომელსაც კამპანიურად ეწევიან ელისაშვილი და მისი მეგობრები. ამიტომ ამისთვის არის პროკურატურა, რომ ეს საკითხი გაირკვეს.

მიმართოს ამ ქალბატონმაც პროკურატურას და ისიც იქნება ერთ-ერთი მოწმე, რომელსაც დაკითხავენ. კიდევ ერთხელ ვამბობ, მის განცხადებას არავითარი კავშირი არა აქვს სიმართლესთან.

სამწუხაროა, რომ, როგორც ჩანს, ამ ქალბატონსაც გარკვეული პოლიტიკური ძალები იყენებენ. ვის რატომ მიენიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი, ამისთვის კომისია არსებობდა, რომელშიც დეპუტატები არ იყვნენ, მათ შორის არც მე.

ჰკითხონ ისევ იმ კომისიას, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. პარლამენტის გადაწყვეტილება კომისიის მუშაობაზე დაყრდნობით იყო მიღებული.

**ინტერპრესნიუსი**

# გურამ დონაძე პროკურორს დაუპირისპირდა



ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებული გურამ დონაძე სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული შესვენების დროს საქმის პროკურორს დაუპირისპირდა.

პროკურორმა განაცხადა, რომ რობაქიძის მკვლელობის ადგილზე გადაღებულ ვიდეოჩანაწერზე FBI-ს შუალედური დასკვნა სასამართლოშია, რომლის მიხედვით, გავრცელებული ჩანაწერი არის მონტაჟი.

პროკურორის ინტერვიუს დროს, მას საუბარში ჩაეჭრა გურამ დონაძე.

– თქვენ ხართ მატყუარა და იტყუებით. ასე აგრძელებთ მთელი 9 წელი და დღესაც იტყუებით. არსებობს დასკვნა, სადაც არ წერია სიტყვა მონტაჟი, არსად არ წერია, რომ იქ არის ხელოვნური ჩარევა და იარაღები არის ჩახატული.

თქვენ ხართ მატყუარა პროკურორი. ამირან რობაქიძის მამამ დარბაზში გეძახათ, რომ ცრუ მოწმეები გყავთ და სამსახურებიდან გააგდებთო. ამაზე არ საუბრობთ. თქვენ იტყუებით, ბოდიში შემოჭრისთვის.

თქვენ ხართ მატყუარა და ასე ატყუებთ საზოგადოებას. არავითარი სიმართლე არ ითქვა სხდომაზე, – მიმართა პროკურორ დავით ნეფარიძეს გურამ დონაძემ.

მას გამოესარჩლა ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე მსჯავრდებული გიორგი ცაავის და ირინა ცააძე.

– როგორც სოსო რობაქიძემ გითხრათ, ასე საუბრობდა თქვენს ტყუილებზე იური ვაზაგაშვილი და იმიტომ გააქრეთ ის კაცი, თქვენმა ხელისუფლებამ. ვაზაგაშვილის საქმეზე ყველაფერი მოიტყუეთ და აღარ გამოგივათ არასოდეს. მატყუარებო! – განაცხადა ირინა ცააძემ.

**პროკურორმა კი აღნიშნა:**

– საზოგადოება სრულად ნახავს ვინ არის მატყუარა, გურგენ დონაძე თუ ბრალდების მხარე, – ამასთან, დავით ნეფარიძემ განმარტა, რომ ეს არის FBI-ს შუალედური დასკვნა. საბოლოო დასკვნა კი, მზად არ არის. ამის შემდეგ, გურამ დონაძემ ჟურნალისტებს ექსპერტიზის დასკვნა აჩვენა.

**გურამ დონაძე:**

– ეს არის სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც სიტყვასიტყვით წერია, რომ კადრი გასროლიდან 5 წუთისა და 9 წამის განმავლობაში არის უწყვეტი, სადაც ჯერ კიდევ უბედურად დაღუპული ბუტა რობაქიძე არის ცოცხალი და სუნთქავს.

FBI-ს დასკვნა პროკურატურას უნდა მოეცა და არ გვაძლევს. ეს არის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნა, ასევე არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნა, რუსეთის და უკრაინის დასკვნები, სადაც ერთი და იგივე წერია. საბოლოო დასკვნა არსებობს და ამაზე პროკურორმა ისაუბრაGDS-ის ეთერში. გეყოფათ ტყუილები, სიმართლე თქვით. ადამიანი დაიღუპა უბედურად. იქ იყო იარაღები, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ბუტას ჰქონდა იარაღები.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული ელგუჯა ჟ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით თბილისში, პუშკინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, სამი მჭიდი და 19 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**




# ვაზისუბანში ავარიის შედეგად ორი ადამიანი მძიმედ დაშავდა



ავტომანქანის შეჯახების შედეგად, 35 წლის ქალი და 17 წლის ბიჭი მძიმედ დაშავდნენ. ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში, ვაზისუბანში მაშინ მოხდა, როცა ქალი და ბიჭი გზაზე გადადიოდნენ.

არსებული ინფორმაციით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

როგორც უწყებაში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო




# ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პირველი ნახევარი უფრო სასიკეთო აღმოჩნდება კარიერული წინსვლისა და პირადი ცხოვრებისათვის. წლის მეორე ნახევარში მოგიხდებათ მეტი შრომა, რათა გააგრძელოთ ადრე დაწყებული საქმეები. შესაძლებელია აღმოჩნდეთ ხელმძღვანელთა შეცვლის, დაუგეგმავი მოვლენების, გადასვლის წინაშე. წლის მეორე ნახევარში პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების გადალახვას შეძლებთ თქვენი შეუპოვრობითა და წინდახედულობით. თქვენ უნდა გახდეთ „პროგრესის" მატარებელი როგორც სახლში, ასევე სამსახურში.




**ვეფხვი (...1950, 62, 74, 86...)** — ურთიერთწინააღმდეგობრივი და რთული წელიწადია ვეფხვთათვის. წარმატების მისაღწევად დაგჭირდებათ მოთმინების, ინტუიციის, გამოვლენა, რათა გვერდი აუაროთ დაგებულ ხაფანგებს. წინასწარ განჭვრეტის მეთოდით უფრო მსუბუქად და სწრაფად შესძლებთ წარმატების მიღწევას. აუცილებლად უნდა გამოავლინოთ შესაბამისი თავდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი გეგმები დაირღვევა; მოერიდეთ პირდაპირ კონფრონტაციასა და კონფლიქტებს წლის პირველ ნახევარში, რათა ამით თავი აარიდოთ სასამართლო გარჩევებს წლის მეორე ნახევარში. წლის პირველ ნახევარში მეტად იმოგზაურეთ, განიხილეთ გეგმები პოტენციურ პარტნიორებთან ან სპონსორებთან, რომლებიც შემდგომ დაგეხმარებიან წლის მეორე ნახევარში პრობლემების მოგვარებაში. წლის მეორე ნახევარში მეტად დაგჭირდებათ „ძლიერი ზურგი" და ჰარმონიული ატმოსფერო ოჯახში, ნათესავებთან, რათა ამით აცდეთ ზედმეტ სირთულეებს და მათგან მხარდაჭერა მოიპოვოთ.




**კატა, კურდღელი (1951, 63, 75, 87...)** — საკმაოდ იღბლიანი წელიწადია. იგი ხელს შეუწყობს თქვენი ნიჭისა და უნარის მეტად რეალიზაციას, ამიტომაც უფრო უშიშრად და აქტიურად იმოქმედეთ, გამოიყენეთ მოულოდნელი შესაძლებლობები ბედ-იღბლის შეცვლისა. განსაკუთრებით წარმატებული იქნება ეს პერიოდი იმ კატებისთვის, ვისაც შეუძლია კოლექტიური მუშაობა, სადაც თქვენი ნიჭი და ინტუიცია განსაკუთრებით დაფასდება. წლის დასაწყისში შესაძლებელია წარმოიქმნან შემოსავლის ახალი წყაროები, კარიერული წინსვლის პერსპექტივები. ისინი კი, ვინც მიეჩვია მეტად ინდივიდუალურ შემოქმედებას, მიხვდებიან, რომ მათი ფინანსური საქმეები მოითხოვენ ახალ ინვესტიციებს, სპონსორებს ან პარტნიორებს. გააქტიურდება თქვენი პირადი ცხოვრებაც. წლის მეორე ნახევარში კი მოიმატებს ფინანსური სირთულეები, ამიტომაც მოგიხდებათ მეტი წინდახედულობის გამოვლენა ხარჯვისას და კაპიტალდაბანდებისას. შესაძლებელია პრობლემების წარმოქმნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ამიტომაც უმჯობესია, ზაფხულში კარგად დაისვენოთ, მაშინ ეს წელიწადი დაგამახსოვრდებათ, როგორც მეტად იღბლიანი და რომანტიკული.




**დრაკონი (...1952, 64, 76, 88...)** — მრავალფეროვანი მოვლენების წელიწადია. თქვენ მოგიხდებათ მონაწილეობის მიღება არაერთ საჭირბოროტო საქმეებსა და საკითხებში, რომელთა გადადება „შემოდგომისთვის" ამავდროულად იქნებოდა უფრო მეტად სასურველი. დიდ დროს და ენერგიას წაიღებს ახალი ურთიერთობები. წლის პირველ ნახევარში ნუ დააგროვებთ დაუმთავრებელ საქმეებსა და ურთიერთობებს, რათა წლის მეორე ნახევარში არ აღმოჩნდეთ დეპრესიულ მდგომარეობაში. წლის პირველი ნახევარი სასიკეთო იქნება კარიერული წინსვლისა და ბიზნესის განვითარებისთვის. აკონტროლეთ ჯანმრთელობა. პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას ურთიერთგაგების შემცირების გამო, ამიტომ წლის მეორე ნახევარში შესაძლებელია მოხდეს შეწყვეტა ზოგიერთი მეგობრული და პარტნიორული კავშირებისა, მოიმატებს ალბათობა სასიყვარულო კონფლიქტებისა და გულაცრუებისა. თუ წლის პირველ ნახევარში ვარ იქნებით ზედმეტად სწორხაზოვანი მიზნის მიღწევისას, მაშინ უფრო ადვილად გადაწყვეტთ საკითხებს.




**გველი (...1953, 65, 77, 89...)** — მთლიანობაში კარგი წელიწადია. ბრძენი გველი იპოვის მისი გეგმებისა და სურვილების შემსრულებლებსა და დამხმარეებს. განსაკუთრებით წარმატებული იქნება წელიწადი მათთვის, ვინც წარმოაჩენს თავს როგორც მშვიდობისმყოფელი, მრჩეველი, შუამავალი, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი. წლის დევიზია „აქტიური ნეიტრალიტეტი და ბრძნული სამართლიანობა". მაგრამ თუ ამ ნიშნის ადამიანი წლის პირველ ნახევარში იქნება ჩათრეული კამათში, ურთიერთობათა გარკვევაში, სარისკო ავანტიურულ მოქმედებებში, მაშინ წლის მეორე ნახევარი მეტად რთულად წარიმართება. თუ გვერდს აუვლით მათ შორის თქვენი ინტუიციის მეშვეობით მძაფრ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს, მაშინ გაცილებით სასიკეთოდ წარიმართებიან თქვენი პირადი ურთიერთობები, ამაღლდება ავტორიტეტი, მიიღებთ მხარდაჭერას. წლის მეორე ნახევარში შესაძლებელია წააწყდეთ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულნი იქნებიან სამსახურში რეორგანიზაციასთან, გადასვლასთან, პარტნიორების შეცვლასთან, უფრო მაღალი თანამდებობის დაკავებასთან. თუმცა ყოველივე იქნება დაკავშირებული მივლინებებთან, საოჯახო და სასიყვარულო პრობლემებთან, ამიტომ კარგად დაფიქრდით, სანამ მიიღებთ გადაწყვეტილებას დაწინაურების შესახებ. ძალიან ყურადღებით გაეცანით ყველა მოცემულ პირობასა და ხელშეკრულებას, რათა შეცდომები არ დაუშვათ.




**ცხენი (... 1954, 66, 78, 90...)** — ცხენის წელიწადში დაბადებულთათვის 2016 წელი დაკავშირებული იქნება წარმატებასთან, აღიარებასთან, ახალ ნაცნობობასთან. თქვენი იდეები და გეგმები მოიტანენ კარგ მატერიალურ ეფექტს, მათ შორის, ირგვლივ მყოფ ადამიანთათვისაც. წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელია შემოსავლის ზრდა, შემოსავლის ახალი წყაროების გამოვლენა, პერსპექტიული წინადადებებისა და წარმატებული გადაწყვეტილებების მიღება ბიზნესში. გაძლიერდება თქვენი ზეგავლენა სხვა ადამიანებზე, შესაძლებელი იქნება ახალი რომანტიკული და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება. წლის მეორე ნახევარში კი მეტი ყურადღება გმართებთ პარტნიორთა და მათი გეგმების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია აღმოჩნდეთ საყვარელ ადამიანებთან და ნათესავებთან არასასურველ კონფლიქტში ჩართული, ასევე რთულ საქმეებსა და პრობლემებში ჩართული. წლის მეორე ნახევარში მაღალია პრობლემების წარმოქმნის ტენდენცია ოჯახში, ნათესავებთან, საყვარელ ადამიანებთან. პარტნიორებმა შესაძლებელია შეაფერხონ თქვენი კარიერა, ფრთხილად იყავით შემოდგომაზე, მოიმატებს ჭორების, ინტრიგების, მოტყუების ალბათობა. ამავე დროს არასტაბილური სიტუაცია საზოგადოებაში ასევე ნეგატიურ დაღს დაასვამს თქვენს ჯანმრთელობას და ფსიქოემოციურ განწყობას. ძირითადი მიზეზები, რომლებიც შეიქმნა წლის პირველ ნახევარში, აგრეთვე მატერიალური სტაბილურობა, განაპირობებენ წლის მეორე ნახევარში სირთულეების უფრო მშვიდად და უმტკივნეულოდ გადატანას.




**თხა (... 1955, 67, 79, 91...)** — თხათა უმრავლესობისთვის 2016 მეტად დინამიური, თუმცა ცვალებადი ტენდენციების წელიწადია. თქვენი ზოგიერთი გეგმა და წამოწყებები მოექცევიან კრიტიკის ქარცეცხლში.; ეს ერთგვარი კოსმიური გამოცდაა მათი მართებულობისა და სიმყარისა. ამიტომაც ამ უამრავი იდეიდან და გეგმიდან მოგიხდებათ ყველაზე რეალური გეგმების ამორჩევა, რათა მათ განხორციელებას არ დასჭირდეს ზედმეტად ბევრი დრო და ძალისხმევა. კარგი იქნება თუ დაეყრდნობით დამხმარე ადამიანებს, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ სწორად გაკვალავენ გზას წარმატებისკენ. თუ წლის პირველ ნახევარში ამას მოახერხებთ, მაშინ თქვენი წამოწყებები სასიკეთო ელფერს შეიძენს, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემათა წარმოქმნის საშიშროება მოიმატებს და წლის მეორე ნახევარში უფრო მეტ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. კარგი იქნება თუ თქვენს ხასიათში მეტად გამოავლენთ მშვიდობისმყოფელსა და შუამავალს, რომელსაც შეუძლია კონფლიქტების მოგვარება და შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა როგორც სამუშაო ჯგუფში, ასევე სახლში. ასეთ შემთხვევაში თქვენი ავტორიტეტი და ინტუიცია მოიმატებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ახლობელთა კარიერული წინსვლის სტიმულირებას.




**მაიმუნი (... 1956, 68, 80, 92...)** — მეტად სასიკეთო წელიწადია თქვენთვის, რომელიც ხელს შეუწყობს შორეული პერსპექტივებისთვის აუცილებელი ახალი ეტაპების დაწყებას. შესაბამისად, თქვენს წამოწყებებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგიული და ხანგრძლივი მოქმედების ელფერი. 2016 ეს არის კარიერის, ახალი ბიზნესის დაწყების, სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობების განახლების წელიწადი. ამავდროულად მოგიხდებათ წესრიგის დამყარება სამსახურში, უნდა გათავისუფლდეთ ზარმაცი და ავანტიურისტი ადამიანებისგან, მხოლოდ ახალი ინიციატივის მქონე ადამიანებთან შეძლებთ წელს განსაკუთრებული წარმატების მიღწევას და ბედნიერების განცდას. წლის პირველ ნახევარში გათავისუფლდით ყველა იმ ფაქტორისგან, რომელიც აფერხებს თქვენს ცხოვრებისეულ წინსვლას, ქმნის ილუზიებს. წლის პირველ ნახევარში თქვენს ცხოვრებაში შესაძლებელია გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან თქვენი წამოწყებების დაფინანსებისთვის. წლის მეორე ნახევარში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა შესაძლებელია საგრძნობი ზეგავლენა მოახდინოს თქვენს გეგმებსა და ბიზნესზე, თუმცა ამავდროულად ინტუიცია და მეგობართა რჩევები დაგეხმარებათ განვითარებისთვის ახალი გზების მოძიებაში.



**მამალი (... 1957, 69, 81, 93...)** — ეს წელიწადი ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდია ახალი წამოწყებებისა და წარმატებისთვის მომავალ, თქვენთვის მშობლიურ 2017 მამლის ზოდიაქოს წელიწადში. ამიტომაც განსაკუთრებული წარმატება წელს მოსალოდნელი არ არის. სარისკო მოქმედებებმა და პროექტებმა შეიძლება გამოიწვიონ ძალთა და დროის ტყუილ-უბრალოდ დაკარგვა, შემდგომი პერსპექტივების ბლოკირება. მეტი დრო და ყურადღება ესაჭიროება ოჯახს და იმ ცვლილებებს, რომელიც მოსალოდნელია საყვარელ ადამიანებთან და ძველ პარტნიორებთან ურთიერთობაში. შესაძლებელია აღმოჩნდეთ ინტრიგების, კონფლიქტების, გაუგებრობების წინაშე. ირგვლივ მყოფი ადამიანების მიმართ შესაძლებელია დაგეუფლოთ გულაცრუება. წელს აუცილებლად უნდა აღივსოთ მოთმინებით, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში და მიუხედავად სხვათა მხრიდან მოვლენების დაჩქარების მცდელობისა, თქვენ გეგმაზომიერად და აუჩქარებლად უნდა შეძლოთ თქვენი იდეებისა და მიზნების რეალიზაცია. ამ პერიოდში ჩადებული მატერიალური საძირკველი დაგეხმარებათ სხვადასხვა პრობლემების გადატანაში უკვე წლის მეორე ნახევარში. წლის განმავლობაში მაღალია ალბათობა შეცდომების დაშვებისა, სწორი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის დროს. უმრავლეს შემთხვევაში თქვენ სიტუაციას შეაფასებთ უფრო ოპტიმისტურად, ვიდრე ეს სინამდვილეში არის.




**ძაღლი (... 1958, 70, 82, 94...)** — საკმაოდ კარგი წელიწადია კარიერული განვითარებისთვის, წარმატებისთვის, ავტორიტეტის და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. თქვენი უნარი მეგობრობისა და თანამშრომლობისა, მოიზიდავს თქვენსკენ ახალ პარტნიორებს და სპონსორებს. ახალი სიყვარული და ფინანსური უზრუნველყოფა მეტად შეუწყობს ხელს თქვენი პროფესიონალიზმის პასუხისმგებლობის უნარს, ავტორიტეტის ამაღლებას და განაპირობებს სასარგებლო ნაცნობობას. ამიტომ წლის პირველ ნახევარში შესაძლებელია დათმოთ რაიმე ძველი, რათა მოიპოვოთ უფრო პერსპექტიული ახალი. ზოგიერთი თქვენთაგანის მიზანი არ წარმოადგენს პრიორიტეტს, მათთვის მნიშვნელოვანია თვითონ პროცესი მიზნის მიღწევისა, რითაც მიაღწევთ სრულ კონსენსს, ასეთივე თვისებების მქონე წითელ მაიმუნთან, წლის მბრძანებელთან და მასპინძელთან. თქვენი ახალი იდეები, სასიყვარულო და მეგობრული ურთიერთობები ხელს შეუწყობენ წლის რთული პერიოდების უფრო მსუბუქად გადალახვას, განსაკუთრებით შემოდგომაზე და მაშინ წლის ბოლოს შესაძლებელი იქნება კარიერული წინსვლა, ახალი ბინის მიღება და უფრო კომფორტული ცხოვრებისეული პირობების შექმნა.




**ტახი, ღორი (... 1959, 71, 83, 95...)** — მთლიანობაში საკმაოდ კარგი წელიწადია ტახთა უმრავლესობისთვის, თუმცა დიდ ფულს და განსაკუთრებულ მხარდაჭერას ირგვლივ მყოფთაგან ნუ ელოდებით. ამასთანავე, მინიმალური კაპიტალდაბანდებით და ძალისხმევით თქვენ შეძლებთ საკმაოდ კარგი შედეგების მიღებას. წარმატებისა და განვითარებისთვის საჭირო იქნება ახალი პარტნიორების პოვნა, ახალი ხელმძღვანელებისა და კოლეგების მოძებნა, რადგან ძველი ურთიერთობები აღარ გამოირჩევიან იმ სიმყარით, რომელიც ესაჭიროება ამ ნიშანს. წელს შესაძლებელი იქნება ფულის ვალში აღება და მათი ახალ პროექტებში ინვესტირება, რომლებიც შემოსავალს მოიტანენ 2017 წელს. ახლობელთა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მეტად გადაიტანენ თქვენს ყურადღებას დასახული მიზნებიდან, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, ამიტომაც წლის პირველი ნახევარი მეტად უნდა დაუთმოთ ფინანსებისა და ავტორიტეტის გამაგრებას. აგრეთვე პარტნიორული და სასიყვარულო ურთიერთოებების გაუმჯობესებას. საინტერესო და სარფიანი სამსახური, რომელიც შესაძლებელია გამოჩნდეს წლის პირველ ნახევარში, მეტად დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში. პერსპექტიული ნაცნობობა ასევე ხელს შეუწყობს თქვენს წინსვლას და მათი მხრიდან დახმარების გაწევას.

*ეკა ირემაშვილი*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

# განცხადებები

## მკურნალობა

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიაიცირებული სახალხო მკურნალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# სანდრო ბაზაძემ მსოფლიოს თასის ეტაპი მოიგო



ახალგაზრდა ქართველმა მოფარიკავე სანდრო ბაზაძემ (ხმალი) 2016 წელს პირველი გამარჯვება იზეიმა: თურქეთის ქალაქ სტამბოლში 2015-16 წლების სეზონის მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი მოიგო.

საქართველოს ნაკრებმა სტამბოლში გაფართოებული შემადგენლობით იასპარეზა: ვაჟებს შორის მწვრთნელებმა 8 სპორტსმენი იახლეს, გოგონათა შორის კი – 5.

მედლები მხოლოდ ვაჟებმა მოიპოვეს: სანდრო ბაზაძის გარდა, მედალოსანთა შორის მოხვდნენ მიხეილ მარდალეიშვილი და ბექა ბაზაძე – ორივემ მესამე ადგილი დაიკავა.

სტამბოლის ეტაპზე 12 ქვეყნის 106 სპორტსმენი (58 ვაჟი და 48 ქალი) მონაწილეობდა.

სანდრო ბაზაძემ ჯგუფში ყველა მეტოქე დაამარცხა და ფლეი-ოფში პირველ ნომრად გავიდა. მერვედფინალში და მეოთხედფინალში მან ზედიზედ სძლია მექსიკელ ხულიან აიალას – 15:5 და თურქ ათატან ჰეზერის – 15:10, ნახევარფინალში კი თანაგუნდელი მიხეილ მარდალეიშვილი დაამარცხა – 15:6.

ფინალში სანდრომ კანადელ იოზეფ პოლუსიფაკისს აჯობა – 15:13. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ნახევარფინალში სანდროს ძმას ბექას სძლია.

მოფარიკავეთა ნაკრები 19-28 იანვარს მოსკოვში გაემგზავრება და რუსეთის ნაკრებთან ერთად გაივლის საწვრთნელ შეკრებას, 29 იანვრიდან კი იტალიის ქალაქ პადოვაში მსოფლიოს პირად-გუნდურ და ევროპის გუნდურ თასზე იასპარეზებს.

# წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპა მარცხით დაიწყო



სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყო წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც 23 იანვრამდე გაგრძელდება. კომბანკ არენაზე, რომელიც 12.000 გულშემატკივარს იტევს, პირველი მატჩი გამართა საქართველოს ეროვნულმა გუნდმა და 6:12 დამარცხდა რუმინეთის ნაკრებთან.

მატჩის პირველ ტაიმში ქართველმა წყალბურთელებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს. პირველი მეოთხედი 1:2 წააგეს, ხოლო მეორე 3:2 მოიგეს და ტაიმებს შორის შესვენებაზე ანგარიში 4:4 იყო.

მე-3 მეოთხედიდან საქართველოს ნაკრები ვერაფერს ახერხებდა. არანაირი კომბინაცია არ ჩანდა გუნდის მოქმედებაში. გასაკვირი უფრო ის იყო, რომ ამას ვერც მეტობაში ახერხებდნენ. თავადაც ხშირად ჯარიმდებოდნენ, რითიც კარგად ისარგებლეს რუმინელებმა და 8 წუთიანი მონაკვეთი 5:1 მოიგეს. უფრო მოკრძალებული ანგარიშით, 3:1 მოიგეს რუმინელებმა დასკვნითი მეოთხედი.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გოლებით მიხეილ ბაღათურია (2), დამირ ცრეპულია (2), ზურაბ რურუა და მარკო ელეზი გამოირჩნენ.

საქართველოს ნაკრებს ც ჯგუფში მეტოქეებად ასევე იტალიისა და გერმანიის ნაკრებები ჰყავს. მომდევნო მატჩს ვლადიმერ ისელიძისა და იოვან პოპოვიჩის შეგირდები 13 იანვარს, გერმანიასთან გამართავენ.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ამ შემადგენლობით გამოდის: ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კოტე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი.

# დინამომ ლობჟანიძე და ამისულაშვილი დაიმატა

თბილისის დინამომ შეკრება რომ დაიწყო, უკვე გითხარით, გუშინ კი კლუბმა 2 ახალწვეული წარადგინა. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები – უჩა ლობჟანიძე და ალექსანდრე ამისულაშვილი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ღირსებას დაიცავენ.




28 წლის მარჯვენა მცველი ლობჟანიძე, დინამო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

10 იანვარი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

ოქსფორდი-სუონსი ........ 3:2
კარლაისლი-იეოვილი ........ 2:2
ჩელსი-სკანთორპი ........ 2:0
ტოტენჰემი-ლესტერი ........ 2:2
კარდიფი-შრიუსბერი ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ხიხონი ........ 2:0
სოსიედადი-ვალენსია ........ 2:0
ეიბარი-ესპანიოლი ........ 2:1
ლას პალმასი-მალაგა ........ 1:1
სელტა-ატლეტიკო ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 27-8 | 44 |
| 2.ბარსელონა | 18 | 13 | 3 | 2 | 44-15 | 42 |
| 3.რეალი | 19 | 12 | 4 | 3 | 52-18 | 40 |
| 4.ვილიარეალი | 19 | 12 | 3 | 4 | 26-16 | 39 |
| 5.სელტა | 19 | 9 | 4 | 6 | 28-27 | 31 |
| 6.ეიბარი | 19 | 8 | 6 | 5 | 27-20 | 30 |
| 7.სევილია | 19 | 8 | 5 | 6 | 26-21 | 29 |
| 8.ბილბაო | 19 | 8 | 4 | 7 | 27-22 | 28 |
| 9.დეპორტივო | 19 | 6 | 9 | 4 | 26-23 | 27 |
| 10.მალაგა | 19 | 6 | 6 | 7 | 14-15 | 24 |
| 11.ვალენსია | 19 | 5 | 8 | 6 | 23-19 | 23 |
| 12.ხეტაფე | 19 | 6 | 5 | 8 | 21-27 | 23 |
| 13.ესპანიოლი | 19 | 6 | 3 | 10 | 17-30 | 21 |
| 14.სოსიედადი | 19 | 5 | 5 | 9 | 22-27 | 20 |
| 15.ბეტისი | 19 | 5 | 5 | 9 | 13-28 | 20 |
| 16.ლას პალმასი | 19 | 4 | 6 | 9 | 19-27 | 18 |
| 17.გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 20-36 | 17 |
| 18.ხიხონი | 18 | 4 | 3 | 11 | 16-29 | 15 |
| 19.რაიო | 19 | 4 | 3 | 12 | 21-43 | 15 |
| 20.ლევანტე | 19 | 3 | 5 | 11 | 14-32 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოვიედო-სარაგოსა ........ 1:0
ბილბაო ბ-ალბასეტე ........ 0:1
უესკა-ოსასუნა ........ 0:1
ლიაგოსტერა-ლეგანესი ........ 0:1
პონფერადინა-ტენერიფე ........ 0:1
კორდობა-მალიორკა ........ 3:1

**იტალია. სერია ა**

ინტერი-სასუოლო ........ 0:1
ატალანტა-ჯენოა ........ 0:2
ბოლონია-კიევო ........ 0:1
ფროზინონე-ნაპოლი ........ 1:5
ვერონა-პალერმო ........ 0:1
ტორინო-ემპოლი ........ 0:1
სამპდორია-იუვენტუსი ........ 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ფაჩულიასა და სანიკიძის მორიგი ორმაგი დუბლები

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები




მინეაპოლისში მინესოტასთან მატჩში ქართველმა ცენტრმა 13 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, მისმა დალასმა კი მასპინძლები 93:87 დაამარცხა.

ფაჩულიასთვის ეს გახლდათ სეზონის მე-19 ორმაგი დუბლი. ზაზამ მინესოტასთან მატჩი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში დაიწყო და დალასელებს მესამე მეოთხედამდე ლიდერობდა. შემდეგ კი ლიდერობა უკვე დირკ ნოვიცკიმ გადაიბარა და ტეხასური გუნდი გამარჯვებამდე მივიდა.

ფაჩულიამ 9-დან 5 ორქულიანი და 5-დან ხუთივე საჯარიმო ჩააგდო. 13 ქულასა და 11 მოხსნასთან ერთად, ქართველმა ცენტრმა 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა.

დალასში 29 ქულით საუკეთესო იყო დირკ ნოვიცკი, 14 ქულა დააგროვა ჩენდლერ პერსონსმა.

დალასელებს 22 მოგება და 16 მარცხი აქვთ და დასავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-5 ადგილზე არიან.

13 იანვარს ფაჩულიას გუნდი ლებრონ ჯეიმსის კლივლენდს უმასპინძლებს.

გიორგი შერმადინსა და მის მორაბანკ ანდორას კი ესპანეთის ჩემპიონატის ერთადერთ წაუგებელ გუნდ ვალენსიასთან გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა.

შეხვედრა თანაბარი გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. გიორგი შერმადინი ერთ-ერთი გამორჩეული იყო მასპინძელთა რიგებში. ქართველი კალათბურთელის შედეგიანობის წყალობით ანდორა უმეტესად იგებდა, თუმცა საბოლოოდ ვერ გაუძლო წაუგებელი გუნდის ზეწოლას და ბრძოლაში – 78:86 დამარცხდა.

შერმადინმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე მთლიანობაში 18 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა სროლები 100-პროცენტიანი სიზუსტით შეასრულა: 5-დან 5 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 12 ქულას გიორგიმ 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიაყოლა.

7 მოგებითა და 8 მარცხით ანდორა ესანეთის ჩემპიონატში 6-9 ადგილებს იყოფს.

მომდევნო ტურის მატჩს ანდორელები შინ, 16 იანვარს, სევილიასთან გამართავენ.

თორნიკე შენგელიას ლაბორალ კუჩამ კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ვიტორულმა კლუბმა ამჯერად სტუმრად, მანრესთან 85:76 იმარჯვა.

ფავორიტად მიჩნეულმა ლაბორალ კუჩამ დამაჯერებლად ჩაატარა მთელი მატჩი და გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებია.

თორნიკე შენგელია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 31 წუთში 9 ქულა, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

12 მოგებითა და 3 მარცხით შენგელიას გუნდი მადრიდის რეალთან ერთად ისევ მე-3-4 ადგილებს იყოფს.

მომდევნო მატჩი ლაბორალ კუჩას სტუმრად ელის. 17 იანვარს ვიტორიელები ხუვენტუდს დაუპირისპირდებიან.

გიორგი ცინცაძის დებიუტი შედგა ახალ ფრანგულ კლუბ რუანში.

ქართველმა გამთამაშებელმა, რომელიც აქამდე საფრანგეთის უმაღლესლიგელ გრავლინში თამაშობდა, გუნდი გამოიცვალა და პირველი მატჩი ჩაატარა.

ცინცაძის დებიუტი ფეხბედნიერი ვერ გამოდგა. რუანელებმა ჩემპიონატის მორიგი მატჩი შინ შოლესთან გამართეს და 80:90 წააგეს. ქართველი უკანახაზელი სათადარიგო იყო და მოედანზე 8 წუთით გამოჩნდა. ცინცაძემ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით დაასრულა.

4 მოგებითა და 12 მარცხით რუანი საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა.

მომდევნო მატჩს ცინცაძის გუნდი 15 იანვარს ანტიბში გამართავს.

ვიქტორ სანიკიძემ მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა თურქეთის ჩემპიონატში. თედ კოლეჯის ქართველმა ფორვარდმა ზედიზედ მეორე მატჩში შეძლო ორმაგი დუბლის შესრულება. წინა მატჩისგან განსხვავებით, რომელიც მისმა გუნდმა ლიდერ ეფესთან წააგო, ამჯერად გამარჯვება შეძლო.

ანკარელებმა გაზიანთეფს უმასპინძლეს და 86:75 დაამარცხეს. სანიკიძის გუნდმა მეტოქე ბოლო პერიოდში გატეხა, მანამდე კი მცირედით, მაგრამ აგებდა.

საქართველოს ნაკრების წევრმა 38 წუთი ითამაშა და ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. სანიკიძემ 9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 10-დან 9 საჯარიმო ჩააგდო.

მთლიანობაში ვიქტორმა 20 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, რითაც ანკარელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

7 მოგებითა და 8 მარცხით თედ კოლეჯი თურქეთის ჩემპიონატში მე-7 ადგილზეა.

ახლა თურქეთში სათასო ბატალიები დაიწყება და ეროვნული ჩემპიონატი 30 იანვრიდან გაგრძელდება. ამ დღეს სანიკიძის გუნდი ფენერბაჰჩეს უმასპინძლებს.

# ფრენბურთელი გოგონები ევროპაზე ბელარუსებმა არ გაუშვეს

დიღომში, „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე მდებარე ფრენბურთის სასახლეში, 19-წლამდე ქალ ფრენბურთელთა შორის 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი დასრულდა.

თბილისს ინგლისისა და ბელარუსიის ნაკრებები ესტუმრნენ და ურთიერთშეხვედრებში გადაწყვიტეს შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა.

სასტარტო შეხვედრაში საქართველომ ინგლისს უმასპინძლა და მეტოქე საკმაოდ იოლად, ანგარიშით 3:0 დაამარცხა.

არადა, შეხვედრის სასტარტო წუთებზე მოვლენათა ასეთი განვითარება რთული წარმოსადგენი იყო, რადგან პირველი სეტის დასაწყისში ინგლისელები კარგად გამოიყურებოდნენ და ქართველებს უგებდნენ კიდეც, თუმცა, როდესაც ანგარიში 6:8 იყო, მასპინძლები გააქტიურდნენ და მეორე წუთშესვენებისთვის უკვე 16:9-ს იგებდნენ. შემდეგ კი სეტიც მოიგეს – 25:16.

პაატა ულუმბელაშვილის გუნდმა მეორე სეტიც კარგად დაიწყო და ისიც საკმაოდ იოლად, 25:13 მოიგო. მესამე სეტში კი ინგლისელები საერთოდ ვეღარ უწევდნენ მასპინძლებს წინააღმდეგობას და საბოლოოდ შეხვედრის დასკვნითი მონაკვეთი 25:10 დასრულდა.

ინგლისელებმა ვერაფერი გააწყვეს ბელარუსებთანაც და 0:3 (15:25; 15:25; 12:25) დამარცხდნენ.

გადამწყვეტი გამოდგა ქართველების მატჩი ბელარუს თანატოლებთან. სამწუხაროდ, ჩვენი გოგონები 1:3 დამარცხდნენ და შემდეგ რაუნდში გასვლა ვერ მოახერხეს.

საწყისი 2 სეტი ბელარუსებმა იოლად მოიგეს – 25:16 და 25:14. თუმცა, ორივეს დასაწყისი თანაბარი იყო და ჩვენები მხოლოდ ბოლო ნაწილში გამოიყურებოდნენ სუსტად. მეტიც, მეორე სეტს სულაც 12:9 იგებდნენ და ბოლოს წააგეს.

გუნდი მხოლოდ მესამე სეტში გამოფხიზლდა, რომელიც ჩინებულად ჩაატარა და 25:19 მოიგო. ჩვენები მთელი სეტის მანძილზე ლიდერობდნენ და თანაც უფრო სოლიდური სხვაობით.

მეოთხე სეტიც ჩვენების უპირატესობით დაიწყო და 5:2 დაწინაურდნენ, მაგრამ ისევ მისცეს მეტოქეს გაქცევის საშუალება და პირველ წუთშესვენებისთვის უკვე ბელარუსები იგებდნენ – 8:5. შემდეგ მეტოქემ ტემპი აღარ დააგდო და საქმე იოლად მოიმთავრა.

ამ გოგონებმა თბილისის ახალგაზრულ ფესტივალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ხოლო შემოდგომით აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე მე-2 ადგილზე გავიდნენ და ახლაც ინგლისს დამაჯერებლად მოუგეს. პოტენციალი იგრძნობა და პროგრესიც სახეზეა.

19-წლამდელ გოგონათა ნაკრების შემადგენლობა:

გურანდა კვერნაძე, მარიამ გაფრინდაშვილი, გვანცა ულუმბეგაშვილი, ელენე გაბროშვილი, ელიზაბეტა ფალავანდიშვილი, ქეთევან ბლუაშვილი, ანა კალანდაძე, სოფო ჩომახიძე, ანა ბაცაცაშვილი, მზია ვაშაკიძე, გვანცა მარქარაშვილი, ნინო კორაევი.

საქართველოს 20-წლამდელ ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები კი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში ჯგუფში მასპინძელ შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან ერთად მოხვდა.

საქართველოს ნაკრებმა შაფჰაუზენში გამართული პირველი მატჩი შვეიცარიასთან უშანსოდ 0:3 (17:25, 21:25, 18:25) დათმო. მე-2 ტურში კი, ამავე ანგარიშით ნორვეგიელ თანატოლებთან დამარცხდა.

ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

ბადრი ნუცუბიძე, თორნიკე ხომასურიძე, რევაზ წიკლაური, ზურაბ ცუხიშვილი, დავით ჩაჩუა, ვლადიმერ გეჯაძე, დავით ცხომარია, ლაშა ჩოხელი, ამირან ტეფნაძე, ზაურ მგალობლიშვილი, გოგა ბუაძე, გიორგი მერაბიშვილი.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# უკრაინის უშიშროებამ რუსეთის მოქალაქე დააკავა




გასული წლის 23 ნოემბერს კიევის ერთ-ერთ პარკში განხორციელდა თავდასხმა უკრაინის უშიშროების სამსახურის ორ თანამშრომელზე. ისინი მხეცურად სცემეს.

2016 წლის 10 იანვარს უკრაინის უშიშროებამ თავდასხმის ყველა მონაწილე დააკავა. მათ ჩამოერთვათ ავტომატები, ხელყუმბარები, ბეისბოლის ჯოხები.

ერთ-ერთი დაკავებული რუსეთის მოქალაქე აღმოჩნდა.

# ვლადიმერ პუტინი: ყირიმი ოკუპირებული არ არის!



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა დასავლეთი იმის გამო, რომ ყირიმის რუსეთთან შეერთებას არ ცნობს. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში პუტინმა განაცხადა, ოკუპაცია ძალადობრივი აქციაა, ჩვენ კი ძალადობა არავის მიმართ არ გამოგვიყენებიაო.

— ყირიმის მოსახლეობის 85 პროცენტი რუსეთთან შეერთებაზე ოცნებობდა. ჩვენს არმიას ისინი სიხარულით შეხვდნენ. რომელ ოკუპაციაზეა ლაპარაკი?! — თქვა პუტინმა.

მან ისიც აღნიშნა, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთს თავისი ეროვნული ინტერესები უფრო აქტიურად უნდა დაეცვა, კერძოდ, არ დაეშვა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ნატოში შესვლა. შედეგად ნატო რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდა.

— ახლა საუბარი უკვე უკრაინის ნატოში შესვლაზეა! მსურს ამერიკის პრეზიდენტს შევეკითხო: „მისტერ ობამა, რა გუნებაზე დადგებით, მექსიკამ ევრაზიულ კავშირში შესვლა რომ მოისურვოს და იქ რუსული ბაზები განლაგდეს?!" — თქვა პუტინმა.

# აიოვაში კრუზი ტრამპს უსწრებს




აიოვაში სენატორი რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი პოპულარობაში თავის თანაპარტიელ ტედ კრუზს ჩამორჩება.

კრუზს მხარს 45% უჭერს, ტრამპს კი — 42%. მთლიანად ამერიკის მასშტაბში რესპუბლიკელებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით კვლავაც ტრამპი სარგებლობს, თუმცა მისი რეიტინგი დაეცა.

— არ გამოვრიცხავ, რომ უკვე გაზაფხულზე ტედ კრუზი უფრო პოპულარული გახდეს, ვიდრე ტრამპი, — აცხადებს პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი.

რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, აშშ-ს მასშტაბით მისი რეიტინგი უკვე 47%-ია, ტრამპისა კი — 27.

ერთი თვის წინ ჰილარის მხარს 40% უჭერდა, ტრამპს — 31.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თურქეთში სირიელი რეჟისორის მკვლელები დააპატიმრეს



თურქეთში სირიელი კინორეჟისორისა და ისლამურ ექსტრემიზმთან მებრძოლის, ალ-ჯერფის მკვლელები დააპატიმრეს.

ერთ-ერთი დაკავებულთაგანი შემსრულებელია, დანარჩენი ორი კი — დანაშაულის ორგანიზატორები.

ჯერჯერობით უცნობია, მკვლელების სასამართლო როდის იქნება.

კალეიდოსკოპი

# ბრიტანელი ტრანსგენდერი გოგონას გაუპატიურებისთვის დააპატიმრეს




ბრიტანეთში ქალი-ტრანსგენდერი გაუპატიურებაში ცნეს დამნაშავედ, რომელიც მან ჯერ კიდევ იმ დროს ჩაიდინა, როდესაც ჯერ კიდევ მამაკაცი იყო.

საბოლოო განაჩენს დევიდ აირტონს, რომელიც ამჟამად საკუთარ თავს დავინად მოიხსენიებს, 4 მარტს გამოუტანენ. მანამდე კი ის ვინჩესტერის მამაკაცებისთვის განკუთვნილ საპატიმროში დარჩება. ეს გადაწყვეტილება კი მოსამართლემ იმიტომ მიიღო, რომ მისი აზრით, ის შესაძლოა საკუთარი თავისთვის წარმოადგენდეს საფრთხეს. გასული წლის ზაფხულში აირტონმა თავის მოკვლა სცადა.

ამჟამად აირტონი 34 წლისაა. ის საკუთარ თავს ქალად 2012 წლიდან მოიხსენიებს. მისივე აღიარებით, მას სქესის შეცვლის ოპერაცია არ გაუკეთებია და ასევე არ მიუღია რაიმე სახის წამლები.

დანაშაული, რომლისთვისაც ის სასჯელს მოიხდის, 2004 წლის შემოდგომით იქნა ჩადენილი, ქალაქ პორტსმუთში. მაშინ აირტონმა ავტოფარეხში სახლიდან გაქცეული 15 წლის გოგონა გააუპატიურა. დაზარალებულის თქმით, ის ყვიროდა, რათა გაეღვიძებინა მეგობრები, რომლებსაც იქვე ახლოს ეძინათ, მაგრამ ამან ის გაუპატიურებისგან ვერ იხსნა.

**კახა ხატიაშვილი**

სპორტი

# დინამომ ლობჟანიძე და ამისულაშვილი დაიმატა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ში 3-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, 33 წლის ამისულაშვილი კი დაცვის ცენტრს გაამაგრებს და მას 5-ნომრიანი მაისური ეცმევა.

ლობჟანიძე დინამოში კვიპროსული ომონიადან გადმოვიდა, საიდანაც მწვრთნელთან კონფლიქტის გამო გამოუშვეს, ამისულაშვილი კი თურქეთის მეორე ლიგის ქარშიაქადან შეუერთდა.

შეკრება დაიწყო ბოლნისის სიონმაც, რომელიც ტექნიკურ ცენტრ ბასაზე მოემზადება.

ვარლამ კილასონიას გუნდში სამი ახალწვეულია: გიორგი კილასონია, აკაკი შულაია, ირაკლი გოგინაშვილი სეზონის ბოლომდე ბოლნისელთა ღირსებას დაიცავენ. სამივე ფეხბურთელი პოზიციით ნახევარმცველია.

სიონი თბილისური შეკრების შემდეგ თურქეთში გამგზავრებას და მეორე ეტაპის საწვრთნელ პროცესს გეგმავს. თურქეთში გამგზავრებამდე რამდენიმე ამხანაგურ მატჩს თბილისში გამართავს. მათ შორის ერთ-ერთი სომხურ მიკასთან იქნება, რომელთანაც სპარინგი 30 იანვარს შედგება.

თურქულ შეკრებაზე კი ბოლნისური კლუბი 1 თებერვალს გაემგზავრება, სადაც 13 თებერვლამდე დარჩება და 5 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

საფეხბურთო კლუბ ზუგდიდში, შესაძლოა, უკრაინელი სპეციალისტი იური ბაკალოვი დაინიშნოს. ჯერ უკრაინელ სპეციალისტთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ბაკალოვი 49 წლის არის და მწვრთნელად ჯერ კიევის არსენალში მუშაობდა, ბოლოს კი ჩერკასის დნეპრს წვრთნიდა.


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.



ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს"

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# ასტროპროგნოზი

## 12 იანვრისთვის



**ვერძი** — ეს დღე სპორტსა და ფიზიკურ დატვირთვას დაუთმეთ. კარგი პერიოდია ნებისმიერი საქმის დასაწყებად. საჭიროების შემთხვევაში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ.**კურო** — შეცდომების გაანალიზება და აღიარება სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. მოთმინება და დათმობა დღის დევიზია. **ტყუპები** — კრიტიკული დღეა. ნებისმიერი წამოწყება კრახით დამთავრდება. ფხიზლად იყავით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება.**კირჩხიბი** — კვლავ დაძაბული და განერვიულებული ხართ. მიენდეთ ინტუიციას. გაჭირვებისას დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** — სამოგზაუროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. ენერგია დაზოგეთ. შორეული ნაცნობი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **ქალწული** — ნებისმიერი საქმე გამოგდით. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ასევე მოგზაურობისა და მივლინებებისათვის. **სასწორი** — ფრთხილად და ყურადღებით იყავით. კრიტიკული დღეა. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **ღრიანკალი** — თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** — ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ ან თქვენთვის არასასურველ ადამიანებს საერთოდ გაეცალეთ.**თხის რქა** — ემოციური განახლებისა და გამოცდის დროა. წარმატებისკენ დაუოკებელი სწრაფვა სასურველ შედეგს გამოიღებს. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გამოიჩინეთ. **მერწყული** — ნებისყოფა მოიკრიბეთ და დასახული მიზნისკენ სვლა არ შეანელოთ. წარმატება გელით კარიერასა და ფინანსურ ოპერაციებში. **თევზები** — მძიმე დღეა, განსაკუთრებით — მამაკაცებისათვის. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. გარკვეულ შემთხვევებში სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 4. გეომეტრიული ფიგურა; 5. ჩვილი ბავშვის საფენი; 7. მდინარე თბილისში; 11. ღრმა ძილის მდგომარეობა; 13. პირველი ქართველი მფრინავი; 15. ქართული ბანკი; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 8. მუსლიმთა დიდი დღესასწაული; 9. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდისაგან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. მორიგეობა გემზე; 14. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 21. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 22. რძის პროდუქტი; 23. კომუნიკაციის მასობრივ საშუალებათა ერთობლიობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კვართი; 7. ვესტერნი; 8. ტონიკა; 10. ინოლა; 11. ლანდსტინგი; 13. ნეისტონი; 16. ოლიმპი; 19. აპატრიდი; 20. კარაველა.

**შვეულად:** 1. ევფონია; 2. ეთიკა; 3. კემპინგი; 4. ლემინგი; 5. დიაპაზონი; 9. კრიშნა; 12. კლუატრი; 14. ეფედრა; 15. ტიტა; 17. პანდა; 18. ფარა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. გარგარი; 2. გო; 3. აგური; 4. ალასანია; 5. რუ; 6. გული; 7. სტარკი; 8. ერა; 9. ტენორი; 10. ანძა; 11. ფასი; 12. ლიბია; 13. ცეცე; 14. მა; 15. ვოლანი; 16. ბუცი; 17. ერწო; 18. დოვლათი; 19. დიანა; 20. მის; 21. მედიანა; 22. ბაიკალი; 23. საწვიმარი; 24. რიგოდონი; 25. ჩაი; 26. ფარვანა; 27. არკა; 28. ნაგლინი; 29. ათოსი; 30. ადლი; 31. საპალნე; 32. დაფნა; 33. სინდისი; 34. სი.

**სურათებზე:** სელინ დიონი; დენი ლანდძაატი.

სამართალი

# მთავარ პროკურატურაში საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა

პროკურატურაში საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, საკონსულტაციო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება საქართველოს მთა-



ვარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს უკეთვნის.

მათივე განმარტებით, საბჭოს ფუნქცია უწყების საქმიანობის შემდგომი ხელშეწყობა და განვითარება, აგრეთვე, პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხთა განხილვა იქნება.

კომპეტენციის ფარგლებში საკონსულტაციო საბჭო ასევე განიხილავს პროფესიულ განვითარებასა და კარიერის მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.

– საკონსულტაციო საბჭოს უხელმძღვანელებს მთავარი პროკურორი, ხოლო მის შემადგენლობაში შევლენ მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საპროკურორო საბჭოს რვა პროკურორი წევრი, ქ. თბილისის პროკურორი და საქართველოს მთავარი პროკურატურის შემდეგი სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელები: გენერალური ინსპექციის უფროსი, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსი, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ამავე დეპარტამენტის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის (სამმართველო) უფროსი, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ამავე დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზანს წარმოადგენს პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის კიდევ უფრო გამჭვირვალედ წარმართვა და უწყებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების არა ერთპიროვნულად, არამედ კოლეგიალური წესით განხილვა, რის რეკომენდაციასაც საქართველოს პროკურატურასთან მიმართებაში წლების განმავლობაში იძლეოდა არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია.

– შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, მომავალში პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა მოხდება არა ერთპიროვნულად, მთავარი პროკურორის მიერ, არამედ კოლეგიალურ ფორმატში, საკონსულტაციო საბჭოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი იქნება შესაბამისი რეკომენდაციით მიმართოს მთავარ პროკურორს მითითებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, – აღნიშნავენ პროკურატურაში.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ამასთან, აქტიურად გრძელდება მუშაობა პროკურატურის მუშაკთა საქმიანობის შეფასების ერთიანი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს პროკურორის პროფესიული საქმიანობის და აქტივობის კომპონენტების ერთობლივ შეფასებას, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება პროკურორისა და გამომძიებლის ინდივიდუალური განვითარებისათვის აუცილებელი აქტივობები, განისაზღვრება დისციპლინური წახალისება და კარიერული ზრდა.

**ინტერპრესნიუსი**

# რა არის ჯიბლიბო




ჯიბლიბო (ჰორდეოლუმ) ქუთუთოზე არსებული თმის ფოლიკულის ან ცხიმოვანი ჯირკვლის მწვავე ჩირქოვანი ანთებაა. გამოყოფენ ასევე შიდა ჯიბლიბოს, როდესაც ვითარდება მეიბომის ჯირკვლების წილაკის ანთება, მეიბომიტი. ჯიბლიბოს გამომწვევი ბაქტერიული ინფექციაა (90-95% -ში გამომწვევია ოქროსფერი სტაფილოკოკი) და ხშირად შეინიშნება იმუნიტეტის დაქვეითების ფონზე, მაგალითად გაციებითი დაავადებების შემდეგ.



ჯიბლიბო აღინიშნება ქუთუთოს ანთება და შეშუპება, მტკივნეულობა, კონიუნქტივის სიწითლე, ქუთუთოს კიდეზე წარმოიქმნება მტკივნეული შესიება, 2-4 დღის შემდეგ მის მწვერვალზე ჩნდება მოყვითალო თავი, რომლის გახსნისას გადმოედინება ჩირქი და ნეკროზირებული ქსოვილების ნაწილები.

ზოგჯერ განსკუთრებით ჩირქის გამორწყვისას ჯიბლიბო შესაძლებელია გახდეს თვალბუდის ფლეგმონის, კავერნოზული სინუსის თრომბოზის, მენინგიტის მიზეზი.

ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია აღინიშნებოდეს თავის ტკივილები, სხეულის ტემპერატურის მომატება, ახლო მდებარე ლიმფური ჯირკვლების გადიდება.

მსგავსი კლინიკური სურათი შეინიშნება მეიბომის ჯირკვლების ანთების შემთხვევაშიც, თუმცა ამ დროს ანთება ნაკლებად მწვავედ მიმდინარეობს. შიგნითა ჯიბლიბოს გახსნა ხდება კონიუნქტივალურ ტომარაში.

რიგ შემთხვევბში ამის შემდეგ ვითარდება ქალაზიონი – მეიბომის ჯირკვლების ირგვლივ მდებარე ხრტილის ანთება. მტკივნეულობა და შესიება არ აღინიშნება, მკურნალობა ხდება ქირურგიული გზით.

ჯიბლიბოს რისკ ფაქტორს წარმოადგენს ორგანიზმის ზოგადი გადაცივება, იმუნიტეტის დაქვეითება, ავიტამინოზი, ენდოკრინული დარღვევები და საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქუთუთოს მდგომარეობას: დემოდეკოზის, ბლეფარიტის არსებობა,

ჯიბლიბოს პროფილაქტიკა პირველ რიგში მოიცავს პირადი ჰიგიენის წესების დაცვას. უნდა ვეცადოთ, რომ თვალს არ შევეხოთ დაბინძურებული ხელებით. გამოყენებულ უნდა იქნას ინდივიდუალური კოსმეტიკა და პირადი ჰიგიენის ნივთები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმუნიტეტის გაძლიერებას.

გახსოვდეთ, დაუშვებელია ჩირქოვანი შიგთავსის თვითნებური გამოდევნა, ასეთი მცდელობა მხოლოდ ინფექციის გავრცელებას შეუწყობს ხელს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ორბიტის მიდამოში ფლეგმონის განვითარება, ტვინის კავერნოზული სინუსის თრომბოზი, მენინგიტი და ლეტალურ გამოსავალიც.

არაა რეკომენდირებული კომპრესები და სველი საფენების გამოყენება, რაც გამოიწვევს კანის მაცერაცისა და ინფექციის გავრცელებას სხვა ცხიმის ჯირკვლების გამომტანი სადინრების ხვრელებით, რაც დაავადების მორეციდივე მიმდინარეობას შეუწყობს ხელს.

სხეულის ტემპერატურის მომატებისას და საერთო მდგომარეობის გაუარესებისას აუცილებელია ექიმის კონსულტაცია ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყების მიზნით. აბსცესის წარმოქმნისას საჭიროა ქირურგიული ჩარევა. მრავალრიცხოვანი ჯიბლიბოების დროს და ტემპერატურის მომატებისას – ამ პრეპარატების ზოგადი გამოყენება. მორეციდივე ჯიბლიბოს დროს – ავტოჰემოთერაპია.

პროგნოზი ჩვეულებრივ კეთილსაიმედოა. ჯიბლიბოსი და თანმხლები დაავადებების დროული მკურნალობა თავიდან აგვაცილებს გართულებების წარმოქმნას. ჯიბლიბოს მორეციდივე ფორმის დროს, აუცილებლად უნდა მოხდეს სათანადო გამოკვლევა შესაძლო ეტიოლოგიური და ხელშემწყობი ფაქტორების გამოსავლენად.

# მიიღეთ იმუნიტეტის ასამაღლებლად



**1. წითელი მოცვი –** მიიღეთ ნაყოფი ნებისმიერი სახით, ან გამხმარი ფოთლების ნახარში. 1 სუფრის კოვზ დაფშხვნილ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და ადუღეთ 5 წუთი. შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ.

**2. მრავალძარღვას** წვენი სვით დღეში სამჯერ თითო სადილის კოვზი ან ნაყენი. 10 გრამ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. მიიღეთ ნახევარი ჭიქა სამჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

**3. ბაღის პიტნა, ორკბილა, ბეგქონდარა –** შეგიძლიათ გამოიყენოთ ცალ ცალკე და ნაკრებშიც. ნაყენი ასეთი წესით დაამზადეთ: 1 სუფრის კოვზ ბალახს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. მიიღეთ დღეში სამჯერ 100 გრამი ჭამის შემდეგ.

**4. არყის ფოთლების ნახარში ასე გაამზადეთ:** 1 სუფრის კოვზ დაფშხვნილ ფოთლებს დაასხით 300 გრამი წყალი. ადუღეთ ნელ ცეცხლზე 15 20 წუთი. მიიღეთ დღეში 3 ჯერ ნახევარი ჭიქა.

**5. კარგია წიწიბურას** ბალახის ნახარშის დალევა წყლის მაგივრად.

# როგორ შევინარჩუნოთ ელასტიკური ყელი

ყელი, ისევე, როგორც ხელები, პირველი გასცემს ქალის ასაკს. ამიტომ მას განსაკუთრებით სათუთი მოვლა სჭირდება. ხალხურ კოსმეტოლოგიაში უამრავი რეცეპტი არსებობს, რომელიც ყელის მოვლაში დაგეხმარებათ.

* * *

**ლიმონი ელასტიკურობის შესანარჩუნებლად**

ყელის კანის სიმკვრივისა და ელასტიკურობის შესანარჩუნებლად კვირაში ერთხელ ყელი, გულ-მკერდი და მხრები ნახევარ ლიტრ წყალში გაზავებული ერთი ლიმონის წვენით დაიზილეთ. შემდეგ, როცა სითხე კანზე შეშრება, მსუბუქი მასაჟისებური მოძრაობით მკვებავი კრემი წაისვით.

* * *

**მკვებავი და დამატენიანებელი ნიღაბი**

1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი ან სხვა ზეთი, 1 ჩაის კოვზი თაფლი და 1 უმი კვერცხის გული კარგად



აურიეთ. მიღებული ნაზავი წაისვით დეკოლტესა და ყელზე და 15-20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

თუ, უბრალოდ, დატენიანება გსურთ, გამოიყენეთ უმი კვერცხის გული, თაფლისა და ზეთის გარეშე.

* * *

**ნიღაბი ნაოჭების წინააღმდეგ**

ერთ ჩაის კოვზ სელის თესლს დაასხით ნახევარი ჭიქა მდუღარე წყალი და ნელ ცეცხლზე 10 წუთით ადუღეთ. შემდეგ გადმოდგით, თავზე დაახურეთ. როცა ოდნავ შეგრილდება, გადაწურეთ და ჯერ კიდევ თბილი, ლორწოვანი ნახარში ყელზე წაისვით. 20-25 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

თუ შინ სელის ზეთი მოგეპოვებათ, შეგიძლიათ ის ყელისთვის ნაოჭების საწინააღმდეგო ნიღბის სახით გამოიყენოთ. სელის ზეთი ოდნავ შეათბეთ, წაისვით ყელზე და 20-25 წუთით გაიჩერეთ.

* * *

**მკვებავი და გამწმენდი ნიღაბი**

2 სადილის კოვზ შვრიის ფქვილს დაასხით თბილი რძე – იმდენი, რომ ცოტა სქელი ცომი მიიღოთ. შეათბეთ, დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი კარაქი. თუ რძის ნაღები გაქვთ, შეგიძლიათ, ისიც დაუმატოთ – 1 ჩაის კოვზი. ყველაფერი კარგად აურიეთ და დეკოლტესა და ყელზე წაისვით. 15 წუთის შემდეგ ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე სერგო მანჯგალაძე, შვილები ცირა და დათო, შვილიშვილები ნია და ლუკა მანჯგალაძეები, ირაკლი და თორნიკე ჩაგანავები, რძალი ნინო ჯავახიშვილი, სიძეები თემურ ჩაგანავა, დათო ვეფხვაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ციალა ნიკოლოზის ასული ბიჩინაშვილი**

**პანაშვიდი:** 12, 13 იანვარს, ქ.თბილისი, ათონელის ქუჩა №9 (შესასვლელი ორბელიანის ქუჩიდან).

**გამოსვენება:** 14 იანვარს, 14 საათზე, თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე სამების ტაძრიდან.

---

მექვაბიშვილების საგვარეულო დარბაზი მწუხარებით იუწყება დარბაზის ვიცე-პრეზიდენტის ელგუჯა მექვაბიშვილის მამის, სახელოვანი პიროვნების

**გივი მექვაბიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგია თანაუგრძნობს კოლეგიის წევრს, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს მამის

**გიორგი მექვაბიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 12 იანვარი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" (გ/ჩვ) **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** მხ/ფ "**სასახლის არომატები**" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.55** "ეპოქის ფრაგმენტები" **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ბორნის იდენტიფიკაცია**" (მ.დეიმონი)

**08.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 11.00, 14.00, 16.00, 18.00, 22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **12.00** მხ/ფ "**მისი მსახურის და**" (დ.დურბინი) **13.30** დ/ფ "საბერძნეთი-კრეტა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**როდესაც პოლი გამოჩნდა**" (ჯ.ენისტონი)

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00**WOICE - საქართველო **00.00** ქ.მხ/ფ "**მიდიოდა მატარებელი**" (ზ.ყიფშიძე) **01.40** მხ/ფ "**მელიებზე მონადირე**" (ვ.რედგრეივი) **03.50** ერთხელ საქართველოში **04.25** მხ/ფ "**მეოთხე მეფე**"

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ეროვნული ლატარეა**22.00** მხ/ფ. "**სიყვარული აქცენტით - 2**"-პრემიერა **23.30** კონცერტი"ინტროსპექცია -ნ.მეტონიძე" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** საქართველოს ქალაქები-ქუთაისიII ნაწ. **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება **12.10** მხ/ფ "**ცისკარა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ან/ფ **15.40** კონცერტი "საშობაო" ბოჩელი **16.30** მგზავრები წუთისოფლისა "თიანეთი" **17.10** მოკ. მხ/ფ "**ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა**" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სიმღერის კვალდაკვალ "სამედიცინო" **20.00** ღია აუდიტორია "მარიკა ლორთქიფანიძე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 3.30** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.00** "კონტაქტი" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.00** სერ. "**ტატიანა** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05, 17.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 იანვრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4174

ევრო — 2.6270

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5311

100 რუსული რუბლი — 3.2699

## ამინდის პროგნოზი 12 იანვრისთვის




## კალეიდოსკოპი



### ბიონსეს პაროდია პოპულარობას იხვეჭს



ამერიკელმა მსახიობმა ჩენინგ ტატუმ „გრემის“ მფლობელის ბიონსეს პაროდია შეასრულა კომედიური მუსიკალური შოუს „ფონოგრამების ბრძოლა“ მეორე სეზონის პირველ ეპიზოდში.

მოკლე კაბასა და ქალის პარიკში გამოწყობილი 35 წლის ტატუმი სცენაზე ბუტაფორული ცხენიდან ჩამოხტა და ბიონსეს კომპოზიციის ფონოგრამაზე იმღერა, სიმღერასთან ერთად ბიონსეს სტილშიც იცეკვა. გამოსვლის დროს მომღერლის „თმები“ ისევე ფრიალებდა ნიავისგან, როგორც ეს ჩვეულებრივ პოპ-დივას მუსიკალურ კლიპებში ხდება. მაყურებლების გასაკვირად, ნომრის ბოლის სცენაზე თავად ბიონსე გამოჩნდა.

მუსიკალურ კომედიურ შოუში მსახიობის გამოსვლის ჩანაწერი ინტერნეტის მომხმარებელთა შორის სწრაფი ტემპით იხვეჭს პოპულარობას.

### ორმა ბრიტანელმა ლატარიაში სარეკორდო ჯეკპოტი მოხსნა




დიდი ბრიტანეთის ორმა მოქალაქემ ბრიტანეთის ეროვნულ ლატარიაში სარეკორდო რაოდენობის ჯეკპოტი 66 მილიონი ფუნტი სტერლინგი (96 მილიონი დოლარი) მოიგო.

გამარჯვებულებმა, ყველა ექვსივე ციფრი გამოიცნეს.

აღსანიშნავია, რომ ეს მოგება ყველაზე მაღალია 1996 წლიდან მოყოლებული, მაშინ სამმა გამარჯვებულმა 42 მილიონი ფუნტი გაინაწილა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული მუსიკალური საესტრადო ნაწარმოები; 2. ქალაქი ესტონეთში; 3. ავტოდრომი იტალიაში; 4. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. პატარა კაფე, სასაუზმე გერმანიაში; 6. ჩეხი მევიოლინე მამაკაცი; 8. ქართველი მილიარდერი, ქველმოქმედი; 10. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო.

**თარაზულად:** 1. ხელის კუნთების სავარჯიშო სატანვარჯიშო იარაღი; 4. ფინეთის დედაქალაქი; 7. მდინარე რომში; 9. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 14. პატარა სასეირნო გემი; 17. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 20. რეგიონი კახეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**




## ლევანდოვსკი პოლონეთში წლის სპორტსმენად აღიარეს



მიუნხენის ბაიერნის და პოლონეთის ნაკრების ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი, თავის ქვეყანაში წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

ეს ჯილდო აქამდე მხოლოდ ორმა პოლონელმა ფეხბურთელმა მოიგო. ლევანდოვსკიმ გასულ წელს პოლონეთის ნაკრებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას პოლონელები დიდწილად სწორედ ლევანდოვსკის უნდა უმადლოდნენ. გარდა ამისა, პოლონელი ფორვარდი ბაიერნშიც შესანიშნავად ასპარეზობს, თუნდაც ვოლფსბურგის წინააღმდეგ 9 წუთში გატანილი 5 გოლი რად ღირს.

2015 წელს ლევანდოვსკიმ მეტოქე გუნდები სულ 49-ჯერ დაამწუხრა.

## გვარდიოლას ინგლისში მუშაობა სურს



ხოსეპ გვარდიოლა რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებს თავისი გეგმების შესახებ ესაუბრა.

გვარდიოლას თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ წელს მისმა გუნდმა, მიუნხენის ბაიერნმა, ჩემპიონთა ლიგა მოიგოს, ამის შემდეგ კი ესპანელი სპეციალისტი სამუშაოდ ინგლისში წასვლას აპირებს.

— მომავალ სეზონში აუცილებლად ინგლისში ვიქნები, ხოლო თუ რომელ გუნდში, ამას მოგვიანებით გაიგებთ. ბაიერნთან ახალ კონტრაქტს იმიტომ არ მოვაწერე ხელი, რომ ახალი გამოწვევა მჭირდებოდა.

ჯერჯერობით უცნობია, რომელ კლუბს აირჩევს გვარდიოლა, თუმცა ყველაზე რეალური ვარიანტი მანჩესტერ სიტია, რომელიც აქტიურად ეძებს ახალ მწვრთნელს.

## დანი ალვეშმა ესპანურ პრესას ნაგავი უწოდა



ბარსელონას ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა ესპანურ პრესას ნაგავი უწოდა. ალვეშის აზრით, სპორტულ პრესაში ხშირად იწერება ისეთი ინფორმაცია, რაც ფეხბურთთან და სპორტთან კავშირში არ არის.

— ბოლო პერიოდში სულ უფრო იშვიათია სტატიები თამაშებზე, გოლებზე ან ფეხბურთელებზე. სამაგიეროდ, ხშირად იწერება ისეთი ამბები, რომლებსაც ფეხბურთთან არავითარი კავშირი არა აქვთ. თქვენ ჩასარეცხი ნაგავი ხართ, — დაწერა დანი ალვეშმა თავის ინსტაგრამზე.

მოგვიანებით ალვეშმა ბოდიში მოიხადა უხეში სიტყვებისთვის, მაგრამ იქვე დაამატა, რომ იმავე აზრზეა ამ საკითხთან დაკავშირებით.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილი**

## ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის



ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა უკვე გვამცნო, რომ 2016 ცეცხლის სტიქიის წითელი მაიმუნის წელიწადია. როგორი იქნება ცეცხლოვანი მაიმუნის ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის, ამაზე „ახალ თაობას“ მიხეილ ცაგარელი ესაუბრა:



**ვირთხა (...1948, 60, 72, 84...)** — კარგი წელიწადია ვირთხის ნიშნით დაბადებულთათვის. იგი მეტ კმაყოფილებასა და ბედნიერებას მოგიტანთ, რადგან მიიღებთ წარსულში თქვენი ძალისხმევისა და შრომისათვის შესაბამის საჩუქრებს. რაიმე განსაკუთრებული პრობლემების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის არც სახლში, არც სამსახურში, ხოლო წარმოქმნილ სირთულეებს გადაწყვეტთ მინიმალური დანაკარგით. გამოვლინდებიან ახალი წინადადებები და შანსები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თქვენი ნიჭისა და უნარის სათანადოდ გამოვლენას. თქვენ უარი არ უნდა თქვათ არც ძველ მეგობრებსა და არც ძველ საქმეებზე. წლის პირველ ნახევარში მეტად უნდა იაქტიუროთ, არ შეუშინდეთ სარისკო მოქმედებებს, ჩაერთეთ ახალ საქმეებსა და პროექტებში. წლის პირველი ნახევარი პოზიტიურია შვილების გასაჩენად, ქორწინებებისთვის, ჯანმრთელობის გასამაგრებლად, მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. წლის მეორე ნახევარში მეტი წინდახედულება გმართებთ პარტნიორთა არჩევისას. თქვენს მეგობრებს შესაძლებელია წარმოექმნათ სერიოზული პრობლემები, რომლებიც თქვენს კარიერასა და გეგმებზეც მოახდენენ ზეგავლენას. ამიტომ წლის მეორე ნახევარში მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს და გააგრძელეთ ის, რაც წარმატებით დაიწყეთ წლის პირველ ნახევარში.



**ხარი, კამეჩი (...1949, 61, 73, 85...)** — შედარებით კარგი წელიწადია ხართა უმრავლესობისთვის. თქვენ შეძლებთ წინა წლის არასტაბილური მოვლენების კომპენსირებას. მეტად სასიკეთოა მაიმუნის წელიწადი სახლის, ბინის შესაძენად, კომფორტის შესაქმნელად, საოჯახო სანათესავო ურთიერთობების გასაძლიერებლად. სამსახურში მოსალოდნელია ახალი ვაკანსიების გამოჩენა, საინტერესო წინადადებების მიღება, კარიერული განვითარებისთვის ახალი პერსპექტივების გამოვლენა. წლის პირველ ნახევარში მეტად გამოიყენეთ ინტუიცია და იგრძენით საიდან შეიძლება გამოვლინდნენ ახალი პერსპექტივები. კარგად გაიაზრეთ გეგმები და პერსპექტივები, რათა წლის მეორე ნახევარი უფრო სასიკეთო აღმოჩნდეს თუმცა წლის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



მეგობარი მეგობარს ეუბნება:

— ჩემ ცოლს საახალწლოდ ბრილიანტის საყურეები ვაჩუქე.

— მართლა? და იმან რა გაჩუქა?

— რაღაც უბადრუკი ოდეკოლონი.

— რა, შენც ბრილიანტის საყურეები გინდოდა?

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

— რა არის, სულ სახლში ვარ, ერთად არსად დავდივართ!

— კარგი, ხვალ ნაგავს რომ წავიღებ გადასაყრელად, შენც გაგიყოლებ.

●●●

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ჩვენი საახალწლო ნაძვის ხე უკვე გადავაგდე.

— რატომ?

— არ მიყვარს, როდესაც სახლში ხმება და წიწვები ცვივა.

— უტვინო, ჩვენ ხომ ხელოვნური ვიყიდეთ!

●●●

ბირჟის ერთი მაკლერი მეორეს ეუბნება:

— ამ კრიზისის გამო საერთოდ ველარ ვიძინებ.

— მე კი ახალშობილივით მძინავს.

— ეგ როგორ?

— საათში ერთხელ ვიღვიძებ და ვტირი!

●●●

სადგურის ბაქანზე დაძრულ მატარებელს სამი მამაკაცი მისდევს, ორი შეახტება, მესამე კი დარჩება და სიცილი აუვარდება. სადგურის მორიგე გაოცებული ეკითხება:

— რა გაცინებს, მატარებელმა გაგასწრო?!

— ის ორი, მატარებელს რომ შეახტნენ, მე მაცილებდნენ.

●●●

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულმა ქმარმა მეუღლეს ყვავილების თაიგული გაუწოდა. ცოლმა გამოართვა და ეკითხება:

— და ახლა რა ვქნა, ფეხები გადავწიო?

— რა, ყვავილების ვაზა აღარ გვაქვს?

●●●

ქმარი სახლში მოულოდნელად დაბრუნდა, მაგრამ ცოლმა მოახერხა და საყვარელი კარადაში დამალა. საყვარელი დიდხანს იჯდა კარადაში და ბოლოს გადაწყვიტა, როგორმე გაპარულიყო. შუა ღამით, ქალის ქურქი ჩაიცვა, კარადის კარი ფრთხილად გამოაღო და გამოძვრა, ამ დროს ქალის ქმარმა შენიშნა და ეკითხება:

— შენ ვინ ხარ?

— ჩრჩილი ვარ.

— მერე, ქურქი სადღა მიგაქვს?

— სახლში შევჭამ!

●●●

მამასთან ერთად თევზაობიდან დაბრუნებულ ტუჩგასიებულ შვილს დედა ეკითხება:

— შვილო, რა მოგივიდა?

— ტუჩზე კრაზანა დამაჯდა.

— გიკბინა?

— არა, მამამ ნიჩბით მოკლა.

●●●

გემი იძირება, მამაკაცი ყველას გადაახტება და სამაშველო ნავში ჩახტება. მეზღვაური უყვირის:

— გემზე ქალები დარჩნენ.

— რა დროს სექსია, ვერ ხედავ, გემი იძირება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**